# საერთო გაზეთი

№39 (731)
ოთხშაბათი
6 დეკემბერი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.




## სააკაშვილმა იცის, როგორც კი ციხიდან გამოვა, მაშინვე მოკლავენ

## აქციებზე დამნაშავე პოლიციელთა გამოვლენა საზღვარგარეთაც რთულია

## ნაციონალების დაბრუნების ბოლო შანსი ომია, ომი კი არ იქნება



## არახამიას ქართულ პოლიტიკაში გადმოსასვლელად ამზადებენ

№39 (731) 6.XII. 2023 წ.

# ახალი გზა უკვე მწყობრშია



აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო მაგისტრალური გზის გრიგოლეთი-ქობულეთის მონაკვეთზე, შარშან გახსნილ 5 კმ-იან მონაკვეთს ახალი 6 კმ-იანი მაგისტრალური გზა დაემატა, სადაც ავტოტრანსპორტის მოძრაობა გაიხსნა.

გრიგოლეთი-ქობულეთის მაგისტრალური გზის მშენებლობის პროექტი მოიცავს 14 კმ-იანი, 4 ზოლიანი ასფალტ–ბეტონის გზის, 22 სახიდე გადასასვლელის, 4 სატრანსპორტო კვანძის, წყალგამტარი მილების და მიწისქვეშა გასასვლელების მშენებლობას. საერთო ჯამში, ავტოტრანსპორტისთვის მოძრაობა უკვე გახსნილია გრიგოლეთი-ქობულეთის შემოვლითი მაგისტრალური გზის 11 კმ-იან, 4 ზოლიან მონაკვეთზე. სამუშაოები აქტიურად გრძელდება და დარჩენილი 3 კმ მაგისტრალურ გზაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა 2024 წელს გაიხსნება;

გრიგოლეთი–ქობულეთის შემოვლითი გზის საშუალებით, სამტრედია–გრიგოლეთის გზა ქობულეთის შემოვლით გზას დაუკავშირდება და სატრანსპორტო ნაკადი გრიგოლეთიდან ქობულეთის მიმართულებით ჩქაროსნული ავტომაგისტრალით იმოძრავებს.

# კახა კალაძე: საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია

დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ გიორგი ვაშაძის ბრალდებებს უპასუხა, რომლის მიხედვით, თბილისის მერია, თითქოს არ ითვალისწინებს კომპანია „სისტრას“ რეკომენდაციებს სატრანსპორტო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

კახა კალაძემ გიორგი ვაშაძე ტყუილის მიზანმიმართულად გავრცელებაში დაადანაშაულა.

„გიორგი ვაშაძე არის ჩვეულებრივი დეგრადირებული, გაქსუებული პოლიტიკოსი. პოლიტიკოსსაც ვერ ვუწოდებ. ეს შეურაცხყოფა იქნებოდა ამ სტატუსის მქონე ადამიანების მიმართ. ამ ადამიანს ჰგონია, რომ ისევ ის წლებია, როდესაც ყალბ პირადობის მოწმობებს ბეჭდავდნენ. გახსოვთ, ის პერიოდი, როდესაც ეს ადამიანი იუსტიციის სამინისტროში „მოღვაწეობდა“. ის ჩარჩენილია წარსულში. არ ვიცი, ადამიანმა როგორ უნდა იკადროს ასეთი ტყუილის თქმა. გამოვიდა და პირდაპირ ეთერში თქვა, რომ თითქოს თბილისის მერია არ ითვალისწინებს უცხოელი კონსულტანტების მიერ შემოთავაზებულ რეკომენდაციებს, თუ რა სქემებით უნდა რეაბილიტირდეს ქუჩები, როგორ უნდა იმოძრაოს საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა და ა. შ. ეს არის ძალიან დიდი ტყუილი და აბსურდი. ჩვენ გვყავს მსოფლიოში საუკეთესო კომპანიები, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ და ის რეფორმა, რომელიც 2017 წელს დაიწყო, დღესაც გრძელდება. ეს რეფორმა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისთვის და საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება არის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი“, - განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, თბილისის მერია ზედმიწევნით ითვალისწინებს „სისტრას“ რეკომენდაციებს და ვაშაძის ბრალდება მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას ემსახურება.



# კომპანია „სისტრას ჯგუფის“ განცხადება

საზოგადოების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, გვინდა, გამოვეხმაუროთ “პალიტრანიუსის” გადაცემა “დღის ნიუსრუმში” ერთ-ერთი პოლიტიკოსის მიერ გაკეთებულ განცხადებას, თითქოს თბილისში მიმდინარე სატრანსპორტო რეფორმის დროს თბილისის მერია არ ითვალისწინებს „სისტრას ჯგუფის“ მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ზედმიწევნით და სკრუპულოზურად მიჰყვება „სისტრას ჯგუფის“ მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს დედაქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტის ძირეული რეფორმის განსახორციელებლად და იმ 10 ძირითადი დერეფნის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, რომელიც საზოგადოებრივი ტრანსპორტის ძირითადი უწყვეტი არტერია უნდა გახდეს.

სწორედ „სისტრას ჯგუფის“ მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით განხორციელდა ილია ჭავჭავაძის გამზირის სრული რეაბილიტაცია და დაგეგმარება. იგივე პრინციპით მოხდა ქეთევან დედოფლის გამზირის რეაბილიტაცია.

გვინდა, ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ, როგორც ფრანგული, ასევე ზოგადად, ევროპული სატრანსპორტო პოლიტიკა უპირობო უპირატესობას ანიჭებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას. საჭიროების შემთხვევაში, კერძო ტრანსპორტის მოძრაობა იზღუდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის სასარგებლოდ. ეს ხდება ისეთ ქუჩებზე, სადაც ორი განცალკევებული ხაზის დაპროექტება შეუძლებელია სივიწროვის გამო.

ყველანი ვთანხმდებით, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას და მის გაუმჯობესებას ალტერნატივა არ გააჩნია, თუკი ჩვენ შვილების მომავალზე, კომფორტულ ურბანულ გარემოსა და ეკოლოგიაზე ვზრუნავთ.

და ბოლოს, ჩვენი ჯგუფი თხოვნით მიმართავს ყველა პოლიტიკოსს, ნუ გამოიყენებენ პოლიტიკური მიზნებისთვის „სისტრას“ მიერ მომზადებულ პროფესიულ რეკომენდაციებს, მით უმეტეს, მათი არასწორი ინტერპრეტაციით, რადგან ეს აზიანებს თბილისში მიმდინარე ესოდენ მნიშვნელოვან და რთულ სატრანსპორტო რეფორმას.

# ჯუანშერ ბურჭულაძე: ქართული ჯარის ტანსაცმელი საუკეთესო ბრენდის ხარისხს არ ჩამოუვარდება

თავდაცვის მინისტრმა „ტვ პირველის“ ეთერში გასულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც ქართულ ჯარს უხარისხო ფორმები მიეწოდება, რადიკალური სიცრუე უწოდა. ჯუანშერ ბურჭულაძემ მედიის წარმომადგენლების შეკითხვებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ უპასუხა.

„გამახვილებული იყო ყურადღება ჩვენი სანივთე ქონების ხარისხზეც, რაც ასევე რადიკალური სიცრუეა. ჩვენ პანდემიის პერიოდმა დაგვანახვა, რომ აუცილებელია, სახელმწიფოს საწარმო ჰქონდეს. კორონას პერიოდში ძალიან გაგვიჭირდა, ბევრი თურქული საწარმო დაიხურა, ბევრმა წარმოება შეამცირა. რაღაც პერიოდში საჭირო ნივთების მიღება გაგვიჭირდა. შესაბამისად, მივიღეთ გადაწყვეტილება და შევიძინეთ უკვე ამუშავებული საწარმო, სადაც 100 თანამშრომელი იყო და დღეს 600-მდე ადამიანია დასაქმებული. მობრძანდით, აიღეთ ნებისმიერი ტანსაცმელი, მაგალითად, ჩვენი სპორტული და ნახეთ, თუ რომელიმე ბრენდის ხარისხს ჩამოუვარდება“, - განაცხადა მინისტრმა.

მინისტრმა „დელტა ტექსტილზეც“ ისაუბრა და აღნიშნა, რომ სსიპ-ის მიერ დაფუძნებული შპს სამართლებრივად მიღებული პრაქტიკაა და, შესაბამისად, შესაძლებელია მისი კომერციული მიზნებისთვის გამოყენებაც. „რაც შეეხება „დელტა ტექსტილს“, აქ იმხელა მოთხოვნაა საზოგადოებისგან, თუნდაც ჯარისკაცების ახლობლებისგან და იმდენად მოსწონს ყველას წარმოებული პროდუქტის ხარისხი, რომ ონლაინმაღაზიის გაკეთებასაც ვფიქრობთ. ზოგადად, პოპულარიზაციისთვისაც ცუდი არ იქნება, როდესაც ჩვენს მოქალაქეებს ეცმევათ სპორტულები, რომლებსაც „თავდაცვის სამინისტრო“ ან „თავდაცვის ძალები“ ეწერება“, - განაცხადა ჯუანშერ ბურჭულაძემ.



# ჯუანშერ ბურჭულაძე: ქართულ ჯარში კვება ოთხი მექანიზმით კონტროლდება

„ინფორმაცია, რომ თურმე ჯარში შედის უხარისხო კვება, არის აბსოლუტურად აცდენილი რეალობას და არის ჯარის დისკრედიტაციის მცდელობა“, - აღნიშნულის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

თავდაცვის მინისტრმა ისაუბრა ზოგიერთი მედიასაშუალების მიერ თავდაცვის უწყების წინააღმდეგ მომზადებულ რეპორტაჟზე და აღნიშნა, რომ ასეთი მადისკრედიტებელი მასალები ჯარის წინააღმდეგ არასდროს დარჩება რეაგირების გარეშე. მისი განმარტებით, თავდაცვის სამინისტროში ხარისხის კონტროლს 4 ქვედანაყოფი აწარმოებს. „ჩვენ ოთხი სხვადასხვა მექანიზმი შევქმენით ხარისხის კონტროლის, ზუსტად იმიტომ, რომ ჩვენმა ჯარმა მიიღოს საუკეთესო პროდუქტი. ასევე, არსებითად გავაუმჯობესეთ საკვები პროდუქტის ხარისხი - ჯარში შედის ქართული გაუყინავი ხორცი, ისეთი მომწოდებლის მიერ მოწოდებული ყველი, რომელიც საქართველოში ყველაზე ძვირფას სუპერმარკეტს ამარაგებდა. ეს არის რეალობა. ჯარში დღეს შემოდინება გვაქვს ისეთ ნიშნულზე, რაც არ ყოფილა ბევრი წლის განმავლობაში. ეს არის კონკრეტული პასუხი დისკრედიტაციაზე, რასაც ეწევიან ჩვენი ოპოზიციური არხები. ჩვენ ამას, რა თქმა უნდა, არ მოვითმენთ და ყოველთვის ვეცდებით ვამხილოთ ადამიანები, რომლებიც ეწევიან სახელმწიფოს დისკრედიტაციას“,- განაცხადა მინისტრმა.

ჯუანშერ ბურჭულაძემ კონტროლის მექანიზმზე ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილა: „ჯარის კვება იმდენად სენსიტიური თემაა, 4 ქვედანაყოფი: გენერალური ინსპექცია, სამხედრო პოლიცია, ჩვენი კვების კომპანიის ზედამხედველობის დეპარტამენტი და ასევე, ჩვენ მიერ შექმნილი დეპარტამენტი - აი, ამ ოთხი მექანიზმით კონტროლდება ჯარის კვება. წარმოიდგინეთ, რომელიმე ქვედანაყოფში რომ გაფუჭებული ულუფა მოხვედრილიყო, ამაზე პირველ რიგში, რეაგირებას თვითონ ჯარი გააკეთებდა. დამატებით, ჩვენ თავად ჯარიც ჩავრთეთ ამ პროცესში, რომ კიდევ ერთი მექანიზმი შეგვექმნა. ამის იქით არ არსებობს რაიმე მექანიზმი თეორიულად, რაც შეგვეძლო მოგვეფიქრებინა ხარისხის კონტროლისთვის“, - აღნიშნა მინისტრმა.

# სააკაშვილის თავისუფლება „ნაციონალური მოძრაობის“ დასასრულს ნიშნავს



*გვესაუბრება საინფორმაციო ანალიტიკური პოტრალის, for.ge-ს მთავარი რედაქტორი ГИОРГИ ИАКОБАШВИЛИ*

**- ცოტა ხნის წინ მივიღეთ ევროსაბჭოს რეკომენდაცია და უახლოეს დღეებში ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსსაც ველოდებით. თუმცა, ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გავრკვეულვართ, რას მოგვცემს ეს სტატუსი...**

- თუ შეიძლება, ამას ცვლილება დავარქვათ, - „ნაციონალურ მოძრაობას“ ექნება ნაკლები სალაპარაკო. თუმცა, მათ ძალიან კარგად იციან, რომ სამეულში სტატუსს ყველაზე მეტად საქართველო იმსახურებდა. ეს არის პოლიტიკური თამაში, ვიღაც-ვიღაცებმა საშუალება მისცეს „ნაცებს“, რომ ეს საკითხი ქვეყანაში დესტაბილიზაციის საბაბად გამოეყენებინათ. ისინი ხომ მრავალი წელია, მხოლოდ იმისთვის არსებობენ, რომ ქვეყანაში ქაოსი, დესტაბილიზაცია და პოლიტიკური დუღილის მაღალი ტემპერატურა შექმნან. მორიგი საბაბი შეიძლება იყოს „რას გვიშვება ეს მთავრობა“, „რატომ მისცეს ხვიჩა კვარაცხელიას მეორე ყვითელი ბარათი“ და ასე შემდეგ...

თქვენ ნახეთ, როგორც კი კომისიის რეკომენდაცია მივიღეთ, მაშინვე გადაატრიალეს „პლასტინკა“ და ალაპარაკდნენ იმაზე, რომ კანდიდატის სტატუსი არაფერს გვაძლევს, რაც, პრინციპში, მართალია. მაგრამ ადრე სხვანაირად ჭიკჭიკებდნენ! შემდეგ მიხვდნენ, რომ ასე ლაპარაკი არ შეიძლებოდა და „გამოაცხვეს“ თემა, რომ სტატუსი მიიღო ხალხმა და არა მთავრობამ, რომ მთავრობა ყველანაირად ბლოკავდა ამას, მაგრამ ვიღაც-ვიღაცებმა სახლში ჯდომითა და სერიალების ყურებით დაიმსახურეს, თურმე, ეს რეკომენდაცია...

სცადეს და არ გამოუვიდათ დესტაბილიზაცია არც მარტში და არც გასული წლის ზამთარში, როცა მეორე ფრონტის გახსნას ითხოვდნენ და იმედია, მიხვდნენ, რომ, რაც დრო გავა, ასეთი ყურით მოთრეული საბაბი ნაკლებად „გამოადგებათ“.

რეალურად კი, ჩვენ უნდა ვეცადოთ, ისე გაძლიერდეს ქვეყანა, რომ აქეთ გვეხვეწებოდნენ. თუმცა, რას მოგვცემს თავად ეს წევრობა და თუ იარსებებს ევროკავშირი იმ დროისთვის ასეთივე ფორმით, ესეც საკითხავია. ჯერჯერობით, გარკვევით და პოპულარულ ენაზე უნდა აუხსნან ადამიანებს, თუნდაც ექსპერტებმა და პოლიტოლოგებმა, რას მისცემს საქართველოს ევროკავშირის წევრობა. იქნება ვალდებულებები, პრივილეგიებთან ერთად და, ალბათ, ყველა ქვეყანას ექნება სხვადასხვა ვალდებულება. შეუძლებელია, იგივე ვალდებულებები ჰქონდეს საქართველოს, რაც, დავუშვათ, ირლანდიას ექნება. ერთსქესიანთა ქორწინება, მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში არ გამოვა, მაშინ ეს უკვე ჩემი საქართველო აღარ იქნება! ასე რომ, ამ ეტაპზე გაურკვეველია, რა პოლიტიკურ თამაშს შემოგვთავაზებენ და როგორ აისახება შემდეგ ეს ჩვენი ქვეყნის მომავალზე, მის განვითარებაზე.

შეიძლება მეჩვენება, მაგრამ ბოლო დროს ევროპელი დიპლომატები განსაკუთრებით „დატკბნენ“ საქართველოს მიმართ. ეს „დატკბობა“ უფრო მას შემდეგ დაიწყო, რაც უკრაინის კონტრშეტევა, ფაქტობრივად, ჩაიშალა და რაც „ჰამასმა“ ისრაელზე ტერორისტული თავდასხმა განახორციელა. დღეისათვის მიმაჩნია, რომ დასავლეთს საქართველო უფრო სჭირდება, ვიდრე საქართველოს ევროკავშირის წევრობა. ჩემთვის ევროკავშირის ქვეყნებთან ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმება და ორმხრივი ურთიერთობები უფრო მისაღებია, ვიდრე რაღაც გაერთიანებაში შესვლა, სადაც რა ვალდებულებები და უფლებები გვექნება, ჯერ კიდევ არ ვიცით.

**- პრეზიდენტი და მისი გარემოცვა აგროვებენ იმ ადამიანების ხელმოწერებს, ვისაც „ევროკავშირში შესვლის სურვილი აქვს“ . გარდა ამისა, ზურაბიშვილი გეგმავს ტელეხიდს ქართველ ემიგრანტებთან. რას ცდილობს ეს ადამიანი?**

- რადგან კანდიდატის სტატუსი, ფაქტობრივად, მივიღეთ, ახლა დაიწყება საუბარი იმაზე, რატომ არა ვართ ევროკავშირის წევრები. თუ ეს მოხდა და უცებ წევრებიც გავხდით, კიდევ რაღაცას მოიფიქრებენ... რაც ახლა ხდება, არის აბსოლუტური სისულელე, ეს არის ჩვეულებრივი „აქტივობა“. „ენჯეოშნიკული“ სულით არის გაჟღენთილი მთელი ოპოზიცია და ევროპელი დეპუტატების ნაწილი, სამწუხაროდ. ეს ყველაფერი იმის გამო ხდება, რომ ორგანიზაციის აქტოვობაში ჩაეთვალოთ და გრანტის მოპოვების მეტი შანსი გაუჩნდეთ. სალომესაც, რა თქმა უნდა, თავისი მიზნები და ამოცანები აქვს. მისთვისაც ეს აქტივობა არის ამ შემთხვევაში, ერთადერთი, რაც შეუძლია გააკეთოს. მას შეუძლია წავიდეს ყავის დასალევად ევროპაში და შემდეგ ამას ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე უწოდოს.

ერთადერთი, რაც შეიძლება ზურაბიშვილმა გააკეთოს, არის ის, რომ გამოუშვას სააკაშვილი ციხიდან. თუმცა აქაც პრობლემებია, რადგან რამდენიმე საქმე სასამართლოში ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია და ვიდრე არ დასრულდება, ვერ შეიწყალებს. ამავე დროს, რომ შეიწყალონ, სააკაშვილმა თავი დამნაშავედ უნდა ცნოს გარდა ამისა, თუ ის სააკაშვილს შეიწყალებს, სალომე ზურაბიშვილი დასრულდება ქვეყნის თვალში და თუ არ შეიწყალებს, - „ნაციონალური მოძრაობის“ თვალში. წინ - წყალი, უკან - მეწყერიო, რომ იტყვიან, სწორედ ისეა მისი საქმე. რაც უნდა გააკეთოს, სალომე ზურაბიშვილი, როგორც პოლიტიკოსი, მაინც დასრულებულია!

თუმცა, ახლა სადაც სჭირდება „ნაცმოძრაობას“, რომ იყოს მიხეილ სააკაშვილი, ეს საპატიმრო დაწესებულებაა. დღემდე მათი სალაპარაკო თემაა „თავისუფლება მიშას“, მაგრამ მიშა რომ გარეთ გამოვიდეს, ეს თემაც დასრულდება. არანაირად არ აძლევთ ხელს მათ მიშას თავისუფლება, რადგან მისი თავისუფლება „ნაციონალური მოძრაობის“ დასასრულს ნიშნავს.

**- ცოტა ხნის წინათ ზურაბიშვილმა სასახლეში ჟურნალისტები მიიწვია. არ იყავით ამ შეხვედრაზე?**

- რა თქმა უნდა, არა! ჯერ ერთი, ზურაბიშვილი და მისი გარემოცვა ვერ გამიბედავდნენ, რომ ამ შეხვედრაზე დავეპატიჟე, რადგან იციან, რომ ძალიან უხეში ფორმით გავუშვებდი შორს და მეორე - რომელი იყო მიწვეულთა შორის ჟურნალისტი? ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებიც ჟურნალისტობას იბრალებენ. მიშა მშვილდაძეა ჟურნალისტი თუ ვანო ჯავახიშვილი? ნებისმიერ სახელმწიფოს, ნებისმიერ ერს, თუნდაც ნებისმიერ უბრალო დაწესებულებას ჰყავს თავისი ნაგავი. „ნაციონალური მოძრაობა“ არის ჩვენი ქვეყნის „ნაგავი“, ყველა დანარჩენის სირცხვილი კი ის არის, რომ ამ ადამიანებს დღემდე სიტყვა ეთქმით.

სალომე ზურაბიშვილი არის ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი იმედგაცრუება, რადგან ყველას გვახსოვს, რომ 2018 წელს ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, „ნაცმოძრაობის“ კანდიდატი რომ არ შესულიყო პრეზიდენტის რეზიდენციაში, მათ შორის - მეც!

**- „ნაციონალურ მოძრაობაში“ დიდი არეულობაა. მელია, მგონი, საბოლოოდ ჩამოიშორეს. როგორ ფიქრობთ, ლევან ხაბეიშვილი არის ის ადამიანი, ვინც მათ მომავალი წლის არჩევნებში სასურველ შედეგს მოუტანს?**

- ხაბეიშვილი დროებითი ფიგურაა, რომელიც რაღაც პერიოდის გადასაგორებლად სჭირდებათ. პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ცალსახად შემიძლია ვთქვა, რომ ის გონებაშეზღუდული ადამიანია. ჩვენ შორიდან ვუყურებთ და ვხედავთ ამას და წარმოგიდგენიათ, რამდენი ხანია, მისი პარტიის წევრებმა, ვისაც მასთან ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ, ეს იციან?! ახლა გაიჟღერა, რომ ჩატარდება ახალი არჩევენები და დისკრედიტირებული ფიგურა პეტრე ცისკარიშვილი გახდება „ნაცმოძრაობის“ ლიდერი. მათ ძალიან კარგად იციან, რომ ხელისუფლებაში ვერ მოვლენ, მაგრამ ცდილობენ, როგორღაც გადაირჩინონ თავი, გადაარჩინონ ორგანიზაცია და ის დაფინანსება, რაც მათ ბიუჯეტიდან აქვთ, არა მხოლოდ ჩვენი ბიუჯეტიდან, უცხოეთის ბიუჯეტიდან და დონორი ორგანიზაციებისგანაც. პლუს ამას, შეინარჩუნონ კეზერაშვილის ფული და, შესაბამისად, გავლენა, რომელიც საშუალებას აძლევთ, მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ ვაჭრობაში, რაც მათ დამატებით ფინანსურ სარგებელს მოუტანს.

**- რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს სხდომაზე 2008 წლის ომს შეეხო და განაცხადა, რომ ეს პროვოკაცია აშშ-მა მოამზადა და სააკაშვილმაც მორჩილად შეასრულა ის, რაც მას ვაშინგტონმა „ასწავლა“...**

- ამ ომით ზეირი მიიღო რუსეთმა, ეს ფაქტია და ვისი დაკვეთა შესრულდა, კიდევ საკითხავია. თუმცა ერთი მეორეს არ გამორიცხავს. შეიძლება აშშ-ის დაკვეთაც შეასრულო იმისათვის, რომ რუსეთმა ნახოს ხეირი. სააკაშვილი ყველაფერს რუსეთისთვის ასრულებს 2002 წლიდან და რა არის ამაში გასაკვირი? თუმცა, ლავროვის ნათქვამს ნუ გავყვებით, როგორც ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას. 2008 წლის ომის შემდეგ, ყველა სამიტზე იყო ლავროვი, ყველა სამიტზე იყო პუტინიც და როგორც „კლოუნი“ ზელენსკი დაგვცინოდა ღიად სცენიდან 2008 წელს, ისე დაგვცინოდნენ დანარჩენი დასავლელი პოლიტიკოსებიც იმით, რომ გულში ჰყავდათ ჩახუტებული აგრესორი ქვეყნის წარმომადგენლები ყოველ სამიტზე და პირზე კოცნით ხვდებოდნენ პუტინს.

იქამდე მივიდა ეს სულელური პოლიტიკა, რომ დღემდე უკრაინაში უდანაშაულო ადამიანები იღუპებიან. ფაქტობრივად, განადგურებულია ქვეყანა და გამოსავალი, რაც შეიძლება იყოს დღეს უკრაინისთვის, ის არის, რომ მათ უსიტყვოდ უნდა დათმონ ლუგანსკისა და დონეცკის ოლქების დიდი ნაწილი, რათა სახელმწიფოებრივობა გადაარჩინონ და, გარკვეულწილად, სახე შეინარჩუნონ. თუმცა, რასაც დღეს არსეტოვიჩი ამბობს, ეს არის კატასტროფის აღიარება, რაშიც დამნაშავე სწორედ „ჯონსონები“ და „ბაიდენები“ არიან.

**- სერგეი შამბასა და ვახტანგ ყოლბაიას შორის შემდგარი ონლაინშეხვედრის კომენტირებისას მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ აფხაზ და ოს ძმებს პირისპირ უნდა ველაპარაკოთ და უნდა შევურიგდეთ. თქვენ რას ფიქრობთ, როგორც ერთი რიგითი ქართველი, როგორ და როდის იქნება შესაძლებელი ამ პრობლემის მეტ-ნაკლებად მოგვარება?**

— უჩვენოდ როგორ დაელაპარაკნენ ერთმანეთსო, ალბათ ამაზე ბრაზობს „ნაცმოძრაობა“ - ყოლბაია თუ შამბას დაურეკავს, ნებართვა უნდა აიღონ ლევან ხაბეიშვილისგან! ძალიან დიდი პოლიტიკის საგანია ეს თემა და ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, ქვეყანა როგორმე ეკონომიკურად უნდა გავაძლიეროთ, რათა აფხაზი თუ ოსი რიგითი მოქალაქე ჩვენს სახელმწიფოში ცხოვრებით დავაინტერესოთ. ჩვენი მხრიდან გასაკეთებელი არის ის, რომ შევინარჩუნოთ მშვიდობა და განვვითარდეთ ეკონომიკურად. ამ შემთხვევაში დიდ როლს შესარულებს ჩინეთი, როგორც მეორე პოლუსი, რომელთან კარგი ურთიერთობაც მნიშვნელოვანია როგორც რუსეთისთვის, ასევე დასავლეთისთვის.

არ ვამბობ, რომ ხვალ-ზეგ ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენ გვინდა, მაგრამ თუ ევროკავშირსა და აშშ-შიც შეიცვალა მიდგომები ჩვენი ქვეყნის მიმართ, საქართველო მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდება და, შესაძლოა, ყველა მოთამაშისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის აუცილებლობაც დადგეს.



ნონა ქარქაშაძე

# სააკაშვილმა იცის, როგორც კი ციხიდან გამოვა, მაშინვე მოკლავენ



*გვესაუბრება პოლიტოლოგი, პროფესორი ლალი მოროშკინა:*

**— ქალბატონო ლალი, აფხაზეთის მხარემ ოცდაათი წლის შემდეგ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დათბობის, პირდაპირი დიალოგის სურვილი გამოითქვა.**

— დავიწყოთ იმით, რომ, როცა რუსეთს რომელიმე ტერიტორიის მოვლა, აღდგენა, პატრონობა სურს, შესაბამისად იქცევა კიდეც. მაგალითად, მარიუპოლში, რომელიც ომით მიიტაცა, ბაღების, სკოლების განაშენიანება დაიწყო, ინფრასტრუქტურული მოწყობის პროცესი დაჩქარებული ტემპით მიდის. ასევე, როცა გადაწყდა, რომ ოლიმპიადა სოჭში უნდა ჩატარებულიყო, ქართველებით დასახლებული სოფელი პლასტუნკა რამდენიმე წელიწადში გაშენდა. ის დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი თვალწარმტაცი ადგილია. აფხაზეთსა და სამაჩაბლოში იგივეს გაკეთების სურვილი რუსებს არ გასჩენიათ. აფხაზეთში სახლებს ახლაც ეტყობათ ნატყვიარი, გალში წლების განმავლობაში სახლებში ხეები იყო ამოსული. ანუ, ინფრასტრუქტურის მშენებლობის კუთხით არაფერი გაკეთებულა. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ: რუსეთი საქართველოს ხელისუფლებაში ისეთი მთავრობის მოსვლას ელოდებოდა, რომელთანაც ცივილიზებულად საუბარს შეძლებდა და საქმე არ ექნებოდა ისეთი დაბალი სოციალური პასუხისმგებლობის მუშაკებთან, როგორიც „ნაცმოძრაობა“ იყო სააკაშვილის ხელმძღვანელობით. ჩვენ ხელი მოვაწერეთ „ბოდენის დოკუმენტს“, რომელიც მიზნად აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებას ისახავდა და სადაც აღნიშნულია, რომ, პირველ რიგში, ლტოლვილების უპირობო დაბრუნების პროცესი უნდა დაიწყოს. ამიტომ აფხაზური მხარის მხრიდან პირდაპირი დიალოგის დაწყების სურვილს მივესალმები. რუსეთი მორალურად, ეკონომიკურად ვითარდება, ასევე, საქართველოც, მაგრამ აფხაზეთი და სამაჩაბლო სავალალო მდგომარეობაშია თავისი გაურემონტებელი სკოლებით, წარმოუდგენელი ნარკომანიითა და, ზოგადად, დანგრეული ინფრასტრუქტურით.

ამჯერად ახალი პროცესის დასაწყისს ეყრება საფუძველი. ადრე აფხაზები თავს იკავებდნენ მეცნიერების იმ ფორუმებზე გაგზავნას, სადაც ქართველები მონაწილეობდნენ. რამდენიმე კვირის წინ სტავროპოლში კავკასიელი მეცნიერებისა და პოლიტოლოგების პირველ ფართომასშტაბიან ფორუმზე გახლდით, სადაც სახელოვანი აფხაზი მეცნიერებიც იყვნენ, რომლებიც ქართულ ენას ბრწყინვალედ ფლობდნენ.

ბოლოს აფხაზებთან მსგავსი საუბარი 2001 წელს „შლაინინგის პროცესზე“ შედგა. მაშინ იწერებოდა ისტორია, თუ როგორ შეიძლებოდა დაშორიშორებული მხარეები ისევ შეერიგებინათ. შედეგად თუ თავდაპირველად, ორი დღე ერთმანეთთან კონტაქტი არ გვქონდა, მესამე დღეს ერთურთს მივესალმეთ, მეოთხე დღეს ოჯახები მოვიკითხეთ, მეხუთე დღეს უკვე ბანქო ვითამაშეთ ერთად, მეექვსე დღეს დავმეგობრდით და მეშვიდე დღეს თვალცრემლიანი დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ანუ, ურთიერთობა რომ აღდგეს, ჯერ ეს ურთიერთობა უნდა არსებობდეს. თუ ადამიანს ვერ ხედავ, მასთან ურთიერთობა როგორ გექნება?!

აღსანიშნავია, რომ სტავროპოლში გამართულ ფორუმზე ქართველები და აფხაზები ერთმანეთთან ჰარმონიულ ურთიერთობაში იყვნენ. ამ დიალოგის გაგრძელება, აუცილებელია. მზადდება ნიადაგი, რათა ჩვენი შერიგების პროცესი რეალურად დაიწყოს. მახსოვს ის დრო, როცა გალის რეგიონს რუსლან ქიშმარია ხელმძღვანელობდა, მასთან ჩავედი და იქ ჰუმანიტარული ტვირთის შეტანა ვითხოვე. ქიშმარია დამთანხმდა, მაგრამ ტვირთის შეტანა საქართველოდან ვერ მოხერხდა, რადგან შევარდნაძის პოლიტიკის თანახმად, ეს კონფლიქტი გაყინული უნდა ყოფილიყო. ურთიერთობის დალაგება არავის სჭირდებოდა. ახლა გამოიკვეთა, რომ ურთიერთობის დალაგებაზე მზაობა არსებობს.

2024 წელს ჩვენ ახალ რეალობაში გავიღვიძებთ. ანუ, საქართველო ევროპა-აზიის დამაკავშირებელი დერეფანი გახდება. მსოფლიო ახალი რეალობის წინაშე დადგება — მისი ახალი გეოპოლიტიკური გადანაწილება დაწყებულია, სადაც ჩვენ ღირსეული ადგილი უნდა დავიკავოთ.

2024 წელს მსოფლიოს უმეტესი ქვეყნის მთავრობაში კონსერვატორები მოვლენ. ჩემს ფეისბუქზე დავდე ერთ-ერთი სერიოზული გამოცემის „The new European“-ის ახალი ნომრის ყდა, სადაც წარმოდგენილნი არიან ახალი კონსერვატორები. სწორედ მათ მოიაზრებენ ახალ მმართველებად. მათ შორის არის მარინ ლე პენი, რომელიც რა ხანია ამბობს, რომ საფრანგეთი ფრანგების უნდა იყოს. ჩვენ ახალი რეალობა უნდა მივიღოთ.

**— ოპოზიციამ განაცხადა: დასავლელი პარტნიორების ჩართულობის გარეშე აფხაზებთან პირდაპირი დიალოგის წარმოება სახიფათოაო. თქვენ რას იტყვით ამ პროცესში საერთაშორისო მედიატორების ჩართულობაზე?**

— კატეგორიულად ვაცხადებ: დასავლეთის ჩართულობა აუცილებელი არ არის. მე ვიყავი შერეული საკონტროლო კომისიის წევრი, რომელიც მოლაპარაკებების ოთხმხრივ ფორმატს წარმოადგენდა საქართველოს, რუსეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებით, რომელსაც მოგვიანებით ეუთოს მისია დაემატა.

ამ ფორმატმა შედეგი ვერ გამოიღო. იგივე ითქმის ჟენევის ფორმატზეც. ეს, უბრალოდ, წყლის ნაყვაა. ქართველებსა და აფხაზ ძმებს შორის პირდაპირი დიალოგი უნდა შედგეს. ამაში ევროპის ჩარევა არ გვჭირდება, ერთმანეთში თავად დავილაპარაკებთ. ასე რომ, „ნაცმოძრაობის“ რიტორიკა საფუძველს მოკლებულია. მათ ვურჩევ, დიდი ღობე გააკეთონ, ისედაც ზოოპარკის ბინადრებს ჰგვანან და დაე, შემოღობილ ტერიტორიაზე ერთად იყვნენ. ჩვენ კი ტერიტორიების რეალურად დაბრუნებაზე ვიფიქროთ.

საზოგადოებამ ყველას სახელები და გვარები უნდა იცოდეს, ვინც საქართველოს გამთლიანებას ეწინააღმდეგებოდა. დიახ, კრემლის გარეშე დიალოგი ვერ შედგება. რუსეთის პოზიცია ცნობილია — ის ამ საქმეში ხელს არ შეგვიშლის. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. რუსული რუბლებით ნაკვები ლიბერალური ფლანგი — ჩვენი ოპოზიცია საერთოდ სახსენებელიც არ არის. მათი კვალი გამქრალია. ახალი პოლიტიკოსების, კონსერვატორების, ახალგაზრდა თაობის დრო მოდის. პირდაპირ გეტყვით: მთავრობამ ყველაფერი გააკეთა, რათა ომი არ მომხდარიყო, რაზეც ეგრეთ წოდებული ომის ანკლავი ოცნებობდა. თავი დავანებოთ იმაზე ფიქრს: რას იტყვის ოპოზიცია და ჩვენი ტერიტორიები დავიბრუნოთ. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ყარაბაღის პრეცედენტი უნდა გავიზიაროთ — როცა მთელი მსოფლიო პირბადეებით დადიოდა და კოვიდს გლოვობდა, აზერბაიჯანი ტერიტორიებს იბრუნებდა. წმინდა წერილებში ნაწინასწარმეტყველებია, რომ იბერია უნდა გაბრწყინდეს. ანუ, ბევრი შუქი კი არ გვექნება, არამედ ტერიტორიები აღდგება, ქართველები ქართველებს დაიბრუნებენ. აფხაზები და ოსები ჩვენი სისხლის ნაწილია.

**— საქართველოს მხარეს დასავლეთმა პროვოკატორის როლი მოგვაკუთვნა, რუსეთზე ზეწოლის საბაბი რომ ჰქონოდა და ეს კონფლიქტი არ მოგვარებულიყო?**

— ჩვენ რუსებისთვის ბუფერული ზონა ვართ. რუსეთი კავკასიაში საკუთარ ინტერესს არასდროს დათმობს. სხვა შემთხვევაში, პირდაპირ თურქეთს დაეჯახება. ეს უკანასკნელი ნატო-ს წევრი ქვეყანაა. ერდოღანს როდის, როგორ გადაუტრიალდება ჭკუა, არავინ იცის, რადგან ყველაზე არაპროგნოზირებადი მმართველია. დღეს თუ ამბობს: ნატო ცუდია, იქ ყოფნა აღარ მინდაო, ხვალ შეიძლება საპირისპირო რამ თქვას და მოქმედებაზე გადავიდეს. მას ბათუმი ისედაც თავის ტერიტორიად აქვს მონიშნული, სადაც შიდა ფრენები ხორციელდება.

საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და ამ დროს თურქეთის შიდა ფრენები ბათუმში ხორციელდება. ჩვენი აეროპორტი თურქეთის შიდა ზონად ითვლება. არსებობს ყარსის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ერთი ტყვიაც რომ გავარდეს, გურიას შუა ნაწილამდე თურქეთი წაიღებს. ყარსის ხელშეკრულების გარდა, სხვა ბევრი ფაქტორი არსებობს, რაც ჩვენთვის სახიფათოა. გამოდის, გარანტია იმისა, რომ ჩვენს ტერიტორიებს არ წაგვართმევენ — აჭარა და გურია თურქული მხარის შემადგენლობაში არ გადავა, არ არსებობს. ეს თურქების დიდი ხნის ოცნებაა.

გავიხსენოთ, რა პოლიტიკას ახორციელებდა სააკაშვილი, რომელმაც ასი ათას თურქს საქართველოს მოქალაქეობა მისცა. ანუ, ეს საკმაოდ სახიფათო პროცესია. ერთ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან: ეუთო-ს თანამშრომელმა, რომელთან ერთადაც ცხინვალიდან ვბრუნდებოდი, მითხრა: როცა რაპორტს შევადგენ, შიგ დავწერ, რომ გვესროლეს და დამიდასტურეო. რატომ-მეთქი — ვკითხე, მიპასუხა: ასეთ შემთხვევაში ორჯერ მეტ ხელფასს გადამიხდიანო. ანუ, მათ მუდმივი პროვოკაციები აწყობდათ.

ორგანიზაციები, რომელთაც ჩვენთან მოკავშირეობაზე უნდა ეზრუნათ, სინამდვილეში ოცნებობდნენ, ვინმე დაჭრილიყო ან მოეკლათ რომ ეს მერე რაპორტში ჩაეწერათ და მეტი ანაზღაურება მიეღოთ. ამიტომ, ჩვენ საკუთარ თავს თავად უნდა მივხედოთ. სტავროპოლში გამართული კონფერენციის მსგავსი თუ კიდევ იქნება, სიამოვნებით წავალ, რადგან იქ ჩემი ქვეყნის სადიდებლად, იმის დასამტკიცებლად მივდივარ, რომ საქართველო განვითარდა, წინ წაიწია.

**— მაშინ, როცა ჩვენი მთავრობა აფხაზებთან მშვიდობიანი გზით შერიგებას მიესალმება, თემურ ალასანია ოკუპირებული ტერიტორიების ძალისმიერი მეთოდებით დაბრუნებისკენ მოგვიწოდებს.**

— ეს ჩვეულებრივი პროვოკაციაა. ამ ოჯახისგან არაფერი მიკვირს. როცა „ვარდების რევოლუციის“ დროს სააკაშვილმა მინისტრობა შემომთავაზა, ვკითხე: ჩვენი პირველი ქმედება რა იქნება-მეთქი და იცით, რა მიპასუხა? — ცხინვალში იარაღით შევარდნაო. სწორედ მაშინ გაიყო ჩვენი გზები და მას მერე ცხრა წელი სახლში ვიჯექი. ზუსტად ვიცი, ამ ოჯახისთვის პროვოკაცია, გენოფონდის განადგურება, ახალგაზრდების ქუჩაში ხოცვა, ნორმაა. კარგია, რომ ალასანიების და სააკაშვილების დრო დასრულდა და ახალ რეალობაში ვცხოვრობთ. მალე გამარჯვებას ვიზეიმებთ.

**— ეუთო-ს მინისტერიალზე ლავროვიც იმყოფებოდა. ოპოზიციამ დარჩიაშვილს მოუწოდა, მინისტერიალი დაეტოვებინა. თუმცა, 2010 წელს ასტანაში გამართულ სამიტზე, რომელსაც პუტინიც ესწრებოდა, სააკაშვილი თავს მშვენივრად გრძნობდა.**

— დიახ, ასტანას სამიტზე სააკაშვილი პუტინს ეხუტებოდა და ჩაისაც ერთად მიირთმევდნენ. იმ ენერგორესურსების ვრცელი სიაც არსებობს, რაც 2008 წლის ომის შემდეგ სააკაშვილმა რუსულ მხარეს გადასცა. ხომ არ დაგვავიწყდა, ვინ მიართვა მედვედევს ქვეყნის 20% ლანგრით, რომელსაც ქვების ხროვა უწოდა. დიახ, ეუთო-ს მინისტერიალშიც უნდა მიგველო მონაწილეობა და 3+3 ფორმატშიც უნდა ჩავერთოთ. დაგვავიწყდა, ლავროვთან ზურაბიშვილი ჩახუტებული რომ იყო, თუ ის სხვა ლავროვი გახლდათ? ოპოზიციის ბჟუტურს ნუ მივაქცევთ ყურადღებას. ჩვენი მთავარი ამოცანა ქვეყნის გამთლიანება, ღირსეული ჯარი, სწავლა-განათლება, ლტოლვილების თავიანთ მიწაზე დაბრუნება და კიდევ ბევრი სხვა რამ არის.



მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, გვყავს მთავრობა, რომლის ხელმძღვანელობა საერთაშორისო ტრიბუნებიდან ღირსეულ სიტყვას ამბობს. „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებამ ჩემი ქვეყანა გაყიდა და ახლა სწორედ ეს გაყიდული ტერიტორიები უნდა დავიბრუნოთ. ჩვენთვის ტერიტორიები ომით კი არ წაურთმევიათ, ის სააკაშვილმა გაყიდა. წარმოგიდგენიათ, რა რაოდენობის ფული აქვს „ნაცმოძრაობას“ მიტაცებული, რითაც დღემდე არსებობს. კარგი იქნება, თუ 2024 წელს ნაცები პოლიტიკას საბოლოოდ ჩამოშორდებიან.

**— სააკაშვილმა ზურაბიშვილს შესტირა, შვილებს მამა დაუბრუნე, შემიწყალეო. როგორ ფიქრობთ, რას მოიმოქმედებს პრეზიდენტი?**

— ეს თამაშის ნაწილია. სააკაშვილმა იცის, როგორც კი ციხიდან გარეთ გამოვა, მას მოკლავენ. კულუარული ინფორმაციით ვიცი, მიშა ითხოვს, ციხიდან არ გამიშვათო. დიახ, მან იცის, რომ ოპოზიციაში ის არავის სჭირდება და მისი მკვლელობაა დაგეგმილი. კარგად უწყის, რომ მისი „გასაღება“ სურთ. ამიტომ რეალურად, ციხის დატოვება სულაც არ უნდა. მიშაზე მთელი ოპოზიციური სპექტრი იმდენად აჭრილია, რომ მისი სიცოცხლის გარანტია ახლა ციხეში ყოფნაა.



**თამარ შველიძე**

# არახამიას ქართულ პოლიტიკაში გადმოსასვლელად ამზადებენ



*გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი დიმიტრი ლორთქიფანიძე:*

**— ბატონო დიმიტრი, არესტოვიჩმა დასავლეთი უკრაინის გაწირვასა და მისი ტერიტორიების რუსეთისთვის დათმობის მცდელობაში დაადანაშაულა, ნატო-ს ალიანსს უმოქმედობაში დასდო ბრალი, უკრაინის ხელმძღვანელობა კი სულელად და კორუმპირებულად მოიხსენია. რას ემსახურება ეს განცხადებები?**

— არესტოვიჩის პოზიცია არ ნიშნავს, რომ ის რაიმეს ნანობს. მას უკრაინის კრიზისის მიმართ დამოკიდებულება არ შეუცვლია. არესტოვიჩმა განაცხადა: იძულებული ვარ, საზოგადოებას სიმართლე ნაწილ-ნაწილ მივაწოდო, რადგან ერთბაშად ყველაფრის თქმამ, შესაძლოა უკრაინაში დიდი ქაოსი გამოიწვიოსო. ანუ რა გამოდის? არესტოვიჩი, რომელიც ფსიქოლოგი, ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის თანამშრომელია, დღეს უცებ ამბობს, რომ უკრაინის კრიზისი ჩიხში შედის, უკრაინელი ხალხისთვის ერთადერთი სწორი გამოსავალი ომის შეწყვეტა და რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყებააო. არადა, მოლაპარაკებებთან დაკავშირებით არსებობს ზელენსკის ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ გამოცემული საგანგებო დადგენილება იმის შესახებ, რომ უკრაინის ხელისუფლება რუსეთთან არანაირ მოლაპარაკებებზე არ წავა. სინამდვილეში, არესტოვიჩმა კრიზისის განვითარების მოცემულ ფაზაში არსებული რეალობა გააჟღერა, რაც უკრაინის უკან მდგომი დასავლელი პარტნიორების მხრიდან წინასწარ იყო განსაზღვრული. მათ ამ ომში რამდენიმე ტრილიონი დოლარი იშოვეს, ასევე, შეცვალეს გეოპოლიტიკა ევროპის კონტინენტზე მათთვის სასარგებლო პირობებით და მთელი ევროპის მასშტაბით საშინელი კრიზისი გაამეფეს.

უკრაინის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. როგორც ჩანს, ოთხი რეგიონის რუსეთთან შეერთების საკითხი, რაზეც ფედერაციაში გადაწყვეტილება ადგილობრივი რეფერენდუმის ჩატარების გზით მიიღეს, კითხვის ნიშნის ქვეშ აღარ დადგება. დღეს საკითხი დგას ყირიმთან დაკავშირებით — რამდენად ექნება ყირიმს ლეგიტიმური სტატუსი, რათა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში იწოდებოდეს. როგორ განვითარდება მოვლენები ამ კუთხით, დაახლოებით, ორ თვეში გვეცოდინება, მას შემდეგ, რაც ზამთრის კრიზისი პიკს მიაღწევს; ასევე, როცა აღმოჩნდება, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალები დასავლეთ ევროპიდან სამხედრო დახმარებას ველარ იღებს და მას მერე, რაც აღმოჩნდება, რომ აშშ-ის კონგრესისთვის მსოფლიოში უკრაინაზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი პრიორიტეტები არსებობს.

აქვე, შეგახსენებთ ზალუჟნის განცხადებას: თავდაცვის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა ყველაფერი გააკეთეს და ახლა ჯერი პოლიტიკოსებზეა. თუ პოლიტიკური სპექტრი ვერ გაერთიანდება იმ იდეის გარშემო, რომ უკრაინის შეიარაღება შემდგომშიც გაგრძელდეს, მაშინ სხვა ტიპის გადაწყვეტილებები უნდა იქნას მიღებულიო. ზალუჟნი არ აპირებს, წაგებულ ომზე პასუხისმგებელი გახდეს. ბუნებრივია, მას არ უნდა ზელენსკის პასუხისმგებლობას საფლავში ჩაჰყვეს. ამიტომ დასავლეთი არ გამორიცხავს, რომ უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატი სწორედ ზალუჟნი იყოს. ეს, ერთი მხრივ, გამართლებული იქნება იმ კუთხით, რომ ისტორიული წარმატებები, რაც მსოფლიოს მეორე არმიის წინააღმდეგ უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა გამოიჩინეს, უდავოდ ზალუჟნის დამსახურებაა. სავარაუდოდ, ის პრეზიდენტობის კანდიდატი გახდება და არანაირ შანს არ დაუტოვებს ავანტიურისტ ზელენსკის, რათა მან თავის ავანტიურა უკრაინელი ხალხის სიცოცხლის ხარჯზე გააგრძელოს.

ახლა მთავარი შემდეგი საკითხია — დარჩება თუ არა უკრაინას შავ ზღვაზე გასასვლელი. ეს დიდი ვაჭრობის საგანია მარცვლეულის გაყიდვების შემდგომ. თუ რუსეთ-უკრაინის ომი ორ-სამ თვეში არ შეწყდა, დიდი ალბათობით, ოდესა და ნიკოლაევი სერიოზული დარტყმის ქვეშ აღმოჩნდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დნეპრისპირეთის ყველაზე დიდ რუსულ სამხედრო ბაზებთან, სადაც დაახლოებით ოთხი მილიარდი დოლარის ღირებულების საბრძოლო მასალა ინახება, მისვლა სწორედ ოდესა-ნიკოლაევის გზით არის შესაძლებელი, მოლდოვას მიმართულებით.

დავუბრუნდეთ არესტოვიჩს, რომელიც შეიძლება ყველაზე სარისკო პოზიციების გამხმოვანებლადაც მივიჩნიოთ. ეს დასავლეთის მხრიდან ერთგვარი სიგნალია — ზელენსკიმ თავისი როლი, ფუნქცია ამოწურა. ცოტა ხანში, ალბათ, ზელენსკის მხრიდან პოზიციების დათმობის შესახებ გაკეთებულ ხმამაღალ განცხადებებს მოვისმენთ. ის გრძნობს, რომ ნებისმიერი არასწორი ნაბიჯი, მას, შესაძლოა, სიცოცხლის ფასად დაუჯდეს.

**— დასავლეთის მიმართ კრიტიკული განცხადებებით გამოირჩევა არახამიაც, რომელმაც განაცხადა, რომ უკრაინას კაპიტულაციისთვის ამზადებენ...**

— არახამიაც იმ პროცესის გამხმოვანებელია, რამაც შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ცერეუს აგენტი დავით არახამია უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველია შეიარაღების დარგში. მისი ნებართვის გარეშე უკრაინის ტერიტორიაზე არანაირი იარაღი, ტყვია-წამალი არ შედის. ბუნებრივია, ის აშშ-ის კარზე ნდობით აღჭურვილი პირია. მას შეიარაღებაზე ზედამხედველობა 2014-24 წლებში, ყველაზე კრიზისულ პერიოდში დაეკისრა. აქვე გეტყვით, რომ აშშ-ის სამხედრო სამრეწველო კომპლექსი უკრაინის ბიუჯეტის ერთ-ერთი უმთავრესი დონორია, რაც არ უნდა დაგვავიწყდეს.

დავით არახამია ქართულ პოლიტიკაში გადმოსასვლელად ემზადება. არახამია ნიკა გვარამიას ერთ-ერთი მთავარი პრომოუტერი იქნება, რომელსაც ბრიტანეთის კარზე სპეციალური მომზადების პროგრამით ამზადებენ, დაწყებული ქცევებით, მანერებით, დამთავრებული მნიშვნელოვანი საპროგრამო დებულებებით, რაც გვარამიამ თავის გუნდთან ერთად პოლიტიკური მოღვაწეობის პროცესში უნდა განახორციელოს. არახამია 2024 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების პროცესში უნდა გააქტიურდეს.

საქართველო მთავარ აქილევსის ქუსლად რჩება. იმიტომ, რომ უკრაინის ხელისუფლების, მისი პრეზიდენტისგან განსხვავებით, ჩვენი ქვეყნის მეთაური ირაკლი ღარიბაშვილი დასავლური კბილებისთვის მეტად კერკეტი კაკალი აღმოჩნდა. დასავლეთს სურს საქართველოში ხელისუფლება შეცვალოს, ამისთვის მაქსიმალური მობილიზებაა დაწყებული — გამოიყენება ყველა საშუალება, რესურსი, მათ შორის, დავით არახამიას სახით, რომელიც ამ მომენტში უკრაინაში მისი ერთ-ერთი დასაყრდენია.

2024 წელი გეოპოლიტიკური და ეპოქალური ცვლილებების დაწყების თვალსაზრისით მსოფლიოს უახლოეს ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იქნება. სწორედ 2024 წელს გადაწყდება რუსეთის, უკრაინისა და აშშ-ის სტრატეგიის შემდგომი ბედი. მარტში დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ, პუტინის გამარჯვების შემთხვევაში, რუსეთის პოლიტიკა არსებითად შეიცვლება. რუსეთი იმ ყალბი გლობალისტური იდეოლოგიის დარტყმის ობიექტი, მსხვერპლია, რომელმაც მთელ მსოფლიოში სცადა გაბატონება. უკრაინის კრიზისი არის გლობალური დასავლეთის ცივილიზაციური ომი რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ასევე უზარმაზარ ცვლილებებს, დარტყმას, მსხვერპლს განიცდის. ამიტომ ცივილიზაციურ ომს, რუსეთი აფასებს როგორც ახალი ცვლილებების დაწყების შესაძლებლობას. რა თქმა უნდა, პრეზიდენტის არჩევნების შემდგომი პერიოდი ორიენტირებული იქნება იმაზე, რომ რუსეთის ტერიტორიაზე დასავლეთის ყოველგვარი გამოვლინება ამოიძირკვოს, რაც გადამდები იქნება პოსტსაბჭოური სივრცისთვის და ამ მხრივ არც საქართველო იქნება გამონაკლისი. უმნიშვნელოვანესია, ამ პროცესს საქართველო კონსერვატიული ძალთა გაერთიანების მძლავრი პლატფორმით შეხვდეს.

ერთი რამ კარგად უნდა ვიცოდეთ: ყველაზე მნიშვნელოვანი აქტორი მთელ ამ პოლიტიკურ პროცესში არის ხალხი, მისი განწყობა, სიბრძნე, სწორი დამოკიდებულება პოლიტიკური პროცესის მიმართ. ძალიან მალე, თებერვალში ჩამოყალიბდება პოლიტიკური სპექტრი, რომელიც მზად იქნება, საზოგადოებას სანუკვარი იდეების განსახორციელებლად საკუთარი შესაძლებლობები შესთავაზოს, რასაც ქართული სახელმწიფოს მდგრადი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების შეუქცევადი პროცესი ჰქვია. მანამდე წინ ევროკავშირის სტატუსის მიღების პროცედურაა. ბევრი ძალაა ჩასაფრებული იმისთვის, რათა ესა თუ ის ვითარება რევოლუციური პროცესების მომზადებისთვის გამოიყენოს. მათ ამის საბაბს ღარიბაშვილი არ აძლევს. ირაკლი ღარიბაშვილს გემი რიფებს შორის ისე მიჰყავს, რომ მას ზიანი არ მიადგეს. ერთ მშვენიერ დღესაც ის პოლიტიკაში თავისუფალ ნაოსნობას შეძლებს. ამისთვის საჭიროა კომპასი, სწორი იდეოლოგია, იმის ზუსტი ცოდნა, სად მივდივართ, რა გვინდა. მაგალითად, გვინდა თუ არა ის მრავალვექტორული საგარეო პრიორიტეტები, რასაც აზერბაიჯანი ავითარებს, რომელიც სუვერენიტეტისთვის ხმალამოღებული იბრძვის. სუვერენიტეტის შენარჩუნების ბრძოლაში საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სხვაობა ოთხმოცი ოცდაათის წინააღმდეგაა. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ უნდობლობა გამოუცხადა USIAD-ს, რომელიც ქვეყნის საქმეებში უხეშად ერევა. ეს სერიოზული განაცხადია. საქართველოში განსხვავებული სიტუაციაა. აქ ოპოზიციას მძლავრი პატრონი ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ოპოზიცია თხუთმეტი გეი-პოლიტიკური პარტიის სამარცხვინო ერთობაა, გლობალური დასავლეთი მას ფინანსურ მხარდაჭერას უწევს და მფარველობს, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი საპირწონეა იმისთვის, რომ ხელისუფლება ამა თუ იმ მოქმედებებზე დააფიქროს.

დასავლეთთან ურთიერთობა საჭიროა, მაგრამ არა ევროკავშირისეული იდეოლოგიური დოქტრინების შესრულება. საზოგადოებამ ევროპასა და ევროკავშირს შორის განსხვავება უნდა დაინახოს. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩვენ ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანა ვართ, რომელსაც თავისუფალი, ყოვლისმომცველი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები გააჩნია. სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებშიც გვაქვს სერიოზული წინადადება — მონაწილეობა მივიღოთ 3+3 ფორმატში, სადაც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩათვლით განიხილავენ. ე რეგიონში არსებული გეოპოლიტიკიდან გამომდინარე, საქართველო ურთულეს მდგომარეობაშია. ამიტომ უნდა ვეცადოთ, აღმშენებლობის პროცესზე ვიყოთ ორიენტირებულნი.

მინდა „ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის“ სახელით გითხრათ: ჩვენ სახალხო დიპლომატიის ფარგლებში აქტიურად ვმონაწილეობთ სხვადასხ-



ვა კონფერენციებში, დიალოგებში. ახლახან ჩამოვედი ადიღეიდან, მაიკოპიდან, სადაც „კავკასიური დიალოგი-2023“-ის ფარგლებში ჩატარდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო კონფერენცია, რაც ჰარმონიული თანაცხოვრებისა და ძლიერი კავკასიის რეგიონის განვითარებას მიეძღვნა. ასევე, მოსკოვმა უმასპინძლა აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით ყველაზე დიდ საერთაშორისო ფორუმს, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩინეთის, აშშ-ის, ინდოეთის, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები. მოდი, ყველამ ჩვენი საქმე ვაკეთოთ და ქვეყანას კრიზისიდან გამოვიყვანთ. ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის უმთავრესი ამოცანა კი ხალხის შენარჩუნებაა.

**თამარ შველიძე**

# ადამიანს სიცოცხლეშივე უნდა უთხრა, რომ ხალხს უყვარს!



**ნომრის სტუმარია საქართველოს კულტურის პალატის თავმჯდომარე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი დავით ოქიტაშვილი**

**— ბატონო დავით, თითქმის ოთხი წლის წინ, როცა ჩვენ შევხვდით, კულტურა ჯერ კიდევ განათლების სამინისტროსთან იყო გაერთიანებული. მაშინ თქვით, რომ ეს ორი სფერო უნდა განცალკევდეს და კულტურის მინისტრად უნდა დაინიშნოს ადამიანი, ვინც ღვაწლმოსილ შემოქმედთა კეთილგანწყობას იმსახურებს. როგორ გაართვა თავი თეა წულუკიანმა ამ გამოწვევებს?**

— კულტურის სამინისტრო არის ყველაზე რთულად სამართავი სამინისტრო და, რასაკვირველია, ის განათლების სფეროსგან უნდა განცალკევებულიყო, რის შემდეგაც მეტად ეფექტური გახდა სამინისტროს მუშაობა. აქ არიან სხვადასხვა შეხედულებების და გემოვნების მქონე ხელოვანი ადამიანები, რომელთაგან, ბუნებრივია, ყველას ვერ ეყვარები და ვერც მოეწონები. თუმცა, მიმაჩნია, რომ ქალბატონმა თეა წულუკიანმა რთულ გამოწვევებს საკმაოდ წარმატებით გაართვა თავი. დღემდე ბევრ შემოტევას უძლებს, მაგრამ ადრე თუ გვიან ეს ადამიანები მიხვდებიან, რომ კულტურის სამინისტრო ქმნის კულტურის პოლიტიკას და არ შეიძლება მუდამ ჩასაფრებული უყურებდე ყველაფერს, გამუდმებით ტალახს ისროდე და კარგს ვერაფერს ხედავდე. არ შეიძლება ვერ დაინახო, რამდენი ნამუშევარი დაუბრუნდა ქვეყანას, რამდენი რამ გაკეთდა...

**— მალე ახალი რეალობის წინაშე დავდგებით. საქართველო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოლოდინშია. რას აძლევს ეს პრივილეგია ჩვენს ქვეყანას?**

— საქართველოსთვის ეს კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია, რის გამოც მინდა მადლობა გადავუხადო, პირველ რიგში, ჩვენს მთავრობას, პრემიერ-მინისტრს და მის გუნდს. რადგან ამდენი შემოტევის მიუხედავად, ქვეყანა უბედურებას გადაარჩინეს. მადლობა ირაკლი ღარიბაშვილს, რომელმაც ბეწვის ხიდზე იარა, მაგრამ საქართველო ბახმუტს არ დაამსგავსა, საქართველო იმ ადამიანების ბოროტებისგან გადაარჩინა, რომლებსაც დღესაც აქვთ სურვილი, ჩვენი ქვეყანა გაანადგურონ.

ხედავთ, უკრაინაში რაც ხდება. უკრაინა გაწირა ზელენსკიმ და მისმა გუნდმა. დიქტატორული რეჟიმი დამყარდა ქვეყანაში, რასაც აღიარებს კიევის მერი ვიტალი კლიჩკო და მისი უახლოესი გარემოცვა. მე კი მინდა, თქვენი გაზეთის მეშვეობით დავუსვა კითხვა ამ ჩვენს ოპოზიციას, რომლებსაც არ უყვართ ჩვენი ქვეყანა - ეს გინდოდათ, რომ საქართველოს გადაეტანა? გაანადგურეს უკრაინა, მოსპეს, როგორც სახელმწიფო და დარჩნენ მარტო, აღარავის აინტერესებს მათი ბედი. ეს უნდოდათ გაეკეთებინათ იმ ადამიანებს ჩვენთვისაც, რომლებიც დღეს „ჭკუას გვარიგებენ“.

როგორც კი ომი დაიწყო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორთან და ანსამბლ „სუხიშვილებთან“ ერთად ჩავედით უკრაინაში, წავიღეთ ჰუმანიტარიული დახმარება... საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც მათ მხარში დაუდგა და თანაგრძნობა გამოუცხადა, მაგრამ რა დაინახა მათმა მთავრობამ?!



რუსეთი ოკუპანტია და მუდამ ოკუპანტი იქნება, მაგრამ ფაქტია, რომ უკრაინა დამარცხდა მის წინააღმდეგ და დაამარცხა საკუთარი მთავრობის გაუაზრებელმა პოლიტიკამ.

უკვე რამდენი ქართველი დაიღუპა უკრაინის ომში და ახლაც იღუპებიან. მე კი აქ რუსთაველის გამზირზე, ზღვაზე თუ მთაში, ვხვდები უკრაინელ ახალგაზრდებს, რომლებიც ყირაზე გადადიან და დროს ატარებენ...

- ვინც ფრონტზე უნდა იბრძოდეს, აგერ ხართ, ჩემს ქვეყანაში - ეს არის ამაზრზენი! ეს იყო ტრაგიკული კომედია, რასაც მხარს უჭერდა ჩვენი ოპოზიცია. ახლა იმიტომაც არიან დადუმებულები, რომ „რუსეთუმეები“ ევროკავშირში არ შედიან და ლოგიკურია, რომ ჩვენი ხელისუფლება „რუსეთუმე“ არ ყოფილა! პუტინის მონები არიან თვითონ. მე „ნაციონალურ მოძრაობას“ რუსეთისგან არ ვასხვავებ!

**— ბატონო დათო, ახალგაზრდებთან ურთიერთობა როგორ გამოგდით? თქვენ ხომ მათ ყოველდღიურად ხვდებით...**

— ვფიქრობ, რომ გამომდის! საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არის ასწლოვანი უნივერსიტეტი და მე ბედნიერი ვარ, რომ ყოველდღიურად ახალგაზრდებთან მაქვს შეხება. დღეს საქართველოში მოდიან ნიჭიერი, თავისუფალი, გულანთებული ახალგაზრდები, რომელთაგანაც ძალიან ბევრს ვსწავლობ. ეს ის თაობაა, სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის დროს სულ რაღაც ათი წლისა რომ იყო, ზოგი - არც ამდენის. ამიტომ ძალიან მარტივია ამ გულანთებული ადამიანების თვალის ახვევა და მათი ბოროტი ზრახვებისთვის „გამოყენება“, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი თაობაა და შენს ნებაზე ვერ მიუთითებ, საით წავიდეს! ჩემთვის ყველა ახალგაზრდა ერთია, თითოეულ მათგანში ჩემი ქვეყნის მომავალს ვხედავ.

მინდა, ამ თაობას გავუფრთხილდეთ, რათა კიდევ რაღაც უბედურებაში არ გახვიონ, თორემ დაიყენებენ წინ ამ ბავშვებს, დაიწყებენ მიტინგებს, შემდეგ ყველა გაიქცევა და მათ მიატოვებენ, თვითონ კი მშრალი გამოძვრებიან სიტუაციიდან.

მე ვიცი, რომ ჩვენი ქვეყანა გაიმარჯვებს. ჩვენ რომ ირაკლი ღარიბაშვილი და მისი მთავრობა არ გვყოლოდა ქვეყნის სათავეში, დღეს ვიქნებოდით გაუბედურებულები.

**— ოპოზიციაში დიდი არეულობაა. ახლახან მორიგი შეხვედრა ჰქონდათ ლონდონში კეზერაშვილთან და, სავარაუდოდ, სამოქმედო გეგმით დაბრუნდნენ. თქვენი აზრით, რის იმედი აქვთ მაინც, ვის შეუძლია „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენა?**

— სიმართლე უნდა ითქვას, რომ თუკი დღეს კიდევ არის ვინმე „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი, ის კონკრეტულად მიშას უჭერს მხარს და სხვას არავის. სააკაშვილმა ზუსტად იცოდა სცენარი და ძალიან უნდოდა ამ სცენარის მიხედვით ემოქმედა მაშინ, როცა კონტეინერებს ჩამოჰყვა, მაგრამ არ გამოუვიდა! ის შემოიყვანეს იმისათვის, რომ არჩევნების შედეგების გამოცხადების დროს მოეყვანათ პარლამენტის წინ, მას უნდა დაეწყო ყვირილი, რომ არჩევნები გაყალბდა, გამოეყვანა თავისი მხარდამჭერები და არეულობა მოეწყო ქვეყანაში. არც მე მსიამოვნებს, რომ ჩემი ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ციხეშია, მაგრამ კანონის წინაშე ყველანი თანასწორები ვართ და დანაშაულზე სათანადოდ უნდა ვაგოთ პასუხი. სააკაშვილიც მოატყუეს. ადამიანურად, მეცოდება კიდეც და კიდევ მეტად მებრალება, როცა მის გარემოცვას ვუყურებ, რადგან „ნაციონალურ მოძრაობაში“ იყვნენ ადამიანები, რომლებიც, ცუდად თუ კარგად, რაღაცას ქმნიდნენ და ყველანი ქუჩაში გაყარეს.

დაიმახსოვრეთ, რომ ხაბეიშვილს ამ დღეებში გადააყენებენ, რადგან მისი პარტიის თავმჯდომარედ დანიშვნა იყო უდიდესი შეცდომა. რომ თქვა, თითქოს რაღაცის გამო დანიშნეს, - ესეც არარეალური მგონია. ვის შეიძლება სჭირდებოდეს ეს ჩინური მიკი-მაუსი ხელმძღვანელად და ჭკუის დამრიგებლად?! „ქართული ოცნების“ წინააღმდეგიც რომ იყო, ნორმალურმა ადამიანმა ხაბეიშვილს ხმა როგორ უნდა მისცე?!

**— „ვარსკვლავებთან“ ასოცირდებით უკვე მრავალი წელია, ამ დროის განმავლობაში კი ბევრი ღისეული შემოქმედი გაახარეთ და აჩუქეთ ბედნიერი წუთები. არადა, წლების წინ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი თქვენი წამოწყების მიმართ...**

— პროექტი 2004 წელს დავიწყე და პირველი ვარსკვლავიც ქალბატონ ნინო რამიშვილს გავუხსენით. ჩვენი მიზანი იყო, სიცოცხლეშივე დაგვეფასებინა ადამიანები და მიგვენიჭებინა მათთვის სიხარული. თავიდან ნამდვილად ძალიან ბევრი სკეპტიკურად უყურებდა ამას, მაგრამ ჩანაფიქრმა გაამართლა, პროექტი წარმატებული გამოდგა... მე ბედნიერი ვარ, რომ დღესდღეობით ეს პროექტი რეგიონებშიც გადავიდა და უკვე სპორტსმენებსაც ვახალისებთ. ყველაზე დიდი ვარსკვლავი და ჯილდო ხალხის სიყვარულია და ამიტომაც, ხელოვანს სიცოცხლეშივე უნდა უთხრა, რომ ხალხს უყვარს! ამ ვარსკვლავების უკან დგანან ადამიანები, რომლებმაც თავიანთი შრომით და მიღწევებით ჩვენი ქვეყანა ასახელეს...

წლების წინ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კულტურის სამინისტროდან გამომაგდო და ეს პროექტიც ჩამომართვა. სამინისტროში ვეღარ დავრჩებოდი, რადგან მას შემდეგ, რაც მათ ზურაბ ჟვანია მოკლეს, ჩემი ამ ადამიანებთან ურთიერთობა დამთავრდა, მათთან საერთო ენის გამონახვა აღარ შემეძლო. მათ კი პროექტიც ჩამომართვეს, ჩემი ვარსკვლავები მიწიდან ამოყარეს და თავიანთი „ვარსკვლავები“ ჩაყარეს. ხშირად მეკითხებიან, რატომ არის ზოგან სხვანაირი ფორმის ვარსკვლავი და სწორედ ამიტომაც არის! როგორც კი „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, მათ ეს პროექტი დამიბრუნეს.

დღეს რომ კიდევ ბიძინა ივანიშვილს ლანძღავენ, რომლის ოჯახიც მთლიანად სიცოცხლის რისკზე წავიდა იმისათვის, რომ საქართველო გადაერჩინა, - რა უნდა უთხრა იმ ადამიანებს? ბატონი ბიძინა ივანიშვილი რომ არ ყოფილიყო, დღეს საქართველო სად იქნებოდა, არავინ იცის!

**— ყოველთვის ხაზგასმით ამბობდით და ამბობთ, რომ ზურაბ ჟვანია მოკლეს, თუმცა ეს არ არის დადასტურებული ფაქტი... მომავალი წლიდან ქვეყანა ახალ რეალობაში გაიღვიძებს და აქვე ყველას გვახსენდება მისი ფრთიანი ფრაზა: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი“. სად, რომელ მხარეს იქნებოდა ახლა თქვენი მეგობარი ზურაბ ჟვანია, ცოცხალი რომ იყოს?**

— ზურაბ ჟვანია იყო ჩემი უახლოესი მეგობარი, მისი სიტყვები კი დღესაც აქტუალურია. მე და ზურა ერთ დღეს ვართ დაბადებული - 9 დეკემბერს. ის ნამდვილად იამაყებდა ახლა იმ წარმატებებით, რასაც საქართველომ მიაღწია. დღეს რომ ზურა ცოცხალი ყოფილიყო, საქართველო სულ სხვა რეალობაში იცხოვრებდა. ის იმიტომ მოკლეს და მოიშორეს, რომ მალევე მიხვდა, სააკაშვილი და მისი გუნდი რა მიმართულებითაც მიდიოდა. მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა, რაც უკვე გარედანაც ჩანდა. რასაკვირველია, მათ არ აწყობდათ გვერდით ჟვანიასნაირი ჭკვიანი ადამიანი. ამიტომაც მოიშორეს. მე არ მჯერა და ვერც დავიჯერებ, რომ ის არ მოუკლავთ, სანამ სათანადო დასკვნას არ დადებენ. მე ვიცი, რომ ზურაბ ჟვანია მოკლეს!

**ნონა ქარქაშაძე**

# წინ მელია, უკან – „ხაბე“



ვუყურებ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და საკუთარ თავში ვმაღლდები, ნამდვილად გენიოსი ვარ, უბრალოდ, არავინ მიცნობს. ჯერ კიდევ წინა საუკუნის მიწურულს ვთქვი, რომ ესენი (გუშინდელი მოქკავშირელები, შემდეგ „ახალგაზრდა რეფორმატორები“, ამჟამად „რადიკალური ოპოზიცია“), გაგებაში არ იყვნენ, რა უნდოდათ და რატომ. ერთი ენერგიული ჭყლოპინა აყლაყუდა გამოხტა, უსაქმურები აიდევნა და მიმდევრებად გაიხადა, ერთი კაცის მიმდევრები კი ჩვეულებრივი სექტაა.

ბიჯოოოო, რა მაგრად ურიკინებენ!

სექტაში ერთი ჰყავთ, კარგი ტიპია, მუდმივად ბოთლით ხელში, ერთხელ რომ დალია, მის შემდეგ მუდამ „პახმელიაზე“ გამოდის, ჯო ბაიდენივით სხვა სამყაროში აქვს კონტაქტები. არაფერს ვერჩი, მაგრამ კაცმა თქვა და როგორ დავუკარგო, მიშა ერთ-ერთი მამათაგანიაო. კი, გია, გენაცვალე, თქვენი მამათაგანია და დაუჯერეთ! ისე, მაგასაც ჰყავს მამათაგანები, მაგრამ მხოლოდ თემურ ბიძიას უჯერებს...

მასე, ადამიანთა ერთ ჯგუფს მეფეც ჰყავს, მაგრამ კი არ ვუშლით ვინმეს მის მიერ ნასროლი ხილ-ბოსტნეულისთვის თავის შეშვერას. რატომ უნდა დავუშალოთ, აგერ, მეფე ნიკოლოზის ნასროლმა პამიდორმა, თურმე ბავშვი გაუჩინა მის მიმდევარ წყვილს (ღმერთმა გაუზარდოთ!)...

ამათი მიშა პამიდვრებს არ ისვრის, სხვა ყველაფერი ნასროლი აქვს, მაგრამ მამათაგან უმამესია, თავისი სექტისთვის მამათაგანი და პატარა ანგელოზებისთვის — მამა.

მიუხედავად იმისა, რომ მის მუზეუმში მისი მირონმდინარე მაისური ასვენია თუ ჩამოპრწიალებულია, ის მაინც მიწიერ მამობას არჩევს და მოითხოვს, რომ მისი სახით შვილებს მამა დაუბრუნონ, მოსწყინდა კარცერ-პალატაში. მთლად მხოლოდ მოწყენაც არ დაემართა, ციხეში გადაყვანა ეზმანება და ქადაგად დაეცა, სალომე ზურაბიშვილს ლამის უკანალზე აკოცოს მთელმა სექტამ, ოღონდ შეიწყალოს...

დროდადრო წამოუფრიკინებს ხოლმე და ისეთს დაახეთქებს... იმავე სალომეს კბენს, მაგრამ ეგ არაფერია, სალომესთვის სულ ერთია, რუსეთის აგენტს დაუძახებენ, თუ მეხრის ვარსკვლავისას, მთავარია რომ საამაყოდ აქვს აგენტის სტატუსი. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს...

ამჯერად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 11 პუნქტი — 23 ნოემბრის მანიფესტი: „რუსი ოლიგარქი ან საქართველო — ტოტალური შეტევა სისტემაზე“, გამოაცხო ორმოცდაავადებაგადატანილმა ფენიქს-მამა მიხეილმა და საოცრებათა პალატიდან ისროლა აღსასრულებლად. გარეთ ჟრიამული გაუდიოდათ, „ვარდების რევოლუციის“ ოცი წლისთავი გვაქვსო, მაგრამ მანიფესტთავზედაცემულები მთლად მხიარულებს არ ჰგავდნენ — ისეთი სახეები ჰქონდათ, თითქოს „ზალაში“ იწვნენ.

22 წელია, რაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არსებობს, რამაც ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ პარტიად გვაქციაო; დროა, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ძველი ფუნდამენტით ახლებური პოლიტიკა აკეთოსო“, — მანიფესტ-ღაღადში სთქვა მამათაგანმან.

რა ფუნდამენტი და ლიბო, 2003 წლისთვის რაც ჩაუბეჭდეს ტვინში მამა-ვაცს და მამა-ვაცმა თავის მხრივ, საკუთარ მიმდევრებს ლამკირით. ამ გაჭირვებულებს ისე ჩაეკირათ, ბარგალკა ვერ გადაუჭრით, პნევმატური ჩაქუჩი ვერ დაუმტვრევთ და მარნეულში რომ ჰასანა ჯადობაზია, ისიც კი უძლურია ამ საქმეში. — კი, მამათაგანო, ისეთი ფუნდამენტი გაქვთ, ნაფნაფს შეშურდება! – ისე გარბიან სექტიდან მამალი ნაციონალები, ქუსლებს კეფაში ირტყამენ...

იმ გინესის სარეკორდო წიგნში შესაყვან „ვივამედში“ ამ პატივცემულ მამათაგანს გარედან ინფორმაცია არ შესდის, თუ როგორ არის საქმე? არავინ ეუბნება, ისეთი ამბავია შენს პარტიაში, რა დროს შენი მამობაა, დედას შვილი აღარ აჰყავს ხელშიო?

ისეთი ამბები ტრიალებს რეალში თუ კვიპროს-ტელევიზიებში, მეტ-ნაკლებად ჭკუადამჯდარი კაცი ეჭვს შეიტანს მათ ჯანმრთელობაში — ჯერ ერთი, კაცი ისე ვერ აურჩევიათ პარტიის თავჯდომარედ და შემდეგ, ერთი მელია ისე ვერ გაურიცხავთ პარტიიდან, ქვეყანა რომ არ შეჰყარონ და ერთმანეთს დედის ჟრიამული არ აუტეხონ. ამათ სცენარებს ვინ უწერს, „კომედი შოუს“ სცენარისტები?

რა „ხაბე“ და რა მელია, თვით მიშა ვეღარ მიშობს. უმიშაოდ დარჩენილი მიშა შეგვრჩა...

რა თქმა უნდა, მოგვიწევს სერიალ „წინ მელია, უკან ხაბეს“ ყურება და, შესაბამისად, მზესუჭვრიტას მომარაგება ბატი-ბუტთან ერთად, მაგრამ მაინც ვწუხვარ ნაცსექტაზე, — ყველა ფრთას ერთად ამომრჩეველთა ხმების 20% თუ ჰქონდა, რომ გაიყოფიან, რამდენი რამდენზე დარჩებათ? კი, ადრე განაყარი სხვებიც იგივენი არიან, მაგრამ ახლა ისინიც პოპკორნით არიან მომარაგებულები, ძალიანაც მოსწონთ სექტის შიგნით „ძიძგი, ძიძგი მამალოს“ ყურება. „ყოფილი ნაციონალი“ ისეთივე უიმედო განსაზღვრებაა, როგორიც მენტალურად „ყოფილი ბოზი“ და „ყოფილი კგბ-შნიკი“.

მოკლედ რომ ვთქვათ, ამ დროისთვის, როდესაც შთამომავლობას ვუტოვებ ნაცსექტის ჟამთააღწერას, რვა რეგიონის საკრებულოს ფრაქციის წევრებმა ნაცსექტიდან ლევან ხაბეიშვილს, კულტურულად რომ ვთქვათ, გადადგომისკენ მოუწოდეს, ნატურში კი, მოუწოდეს კი არა, თავზე დაახურეს ყველა მისიანი, ვინც ხელთ მოხვდათ, გარდაცვლილი, ცოცხალი თუ ცოცხალმკვდარი. ეგაო, კვიპროსიდან იმართებაო; განსხვავებული აზრის გამოხატვის უფლება აღარ გვაქვსო; ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხებაო; ასე, პარტია დაშლისკენ მიჰყავთო; 2024 წლის არჩევნებზე რა რესურსი გვექნება ხელოვნურად გაზრდილი პოლიტსაბჭოთიო... — კაი, კაცო!

საწყალი „ხაბე“, ათი თვეა, ხარობს, მეც კაცი ვარო, მაგრამ ვინ აცდის „კაცობანათი“ ბოლომდე გახარებას... აქეთ კიდევ ჟურნალისტებმა გააფარჩაკეს,...მაგრამ „ხაბეს“ ისეთი პატრონი ჰყავს, ერთი თოფი კი არა, ერთი ზარბაზანიც აქვს გადამალული, ისეთი, კვიპროსიდან პირდაპირ თბილისის აეროპორტის ტრასას რომ ებმის. ჭკვიანი აღმოჩნდა ტიპი, „რა იცი, რა ხდებას“ ვარიანტში ყველაფერი გათვლილი აქვს...

მაინც ვერ გავიგე, მელია ნაცსკოლიდან გარიცხეს თუ საშემოდგომო გამოჰყვა? პრინციპში, ქუჩიდან აიყვანეს სექტაში და ისევ ქუჩაში მოისვრიან, რა პრობლემაა, მაგრამ ისე არ დაუდგეს მოცემულობა, ქე რომ არც იქინე აღარ უნდათ ხოლმე და არც აქანე ღებულობენ იქინე ნამყოფს...

ცოცხალმკვდარზე გამახსენდა — ეს ჩვენის ტვინჩაკირულები იმასაც ვერ ხედავენ, რომ საითაც გაიქცნენ, იქ წაიქცნენ, თვით საკუთარ პარტიაშიც კი გორაობენ?

რა დაცურებული სექტაა, საკუთარი პარტიის თავმჯდომარე ვერ გადაუყენებიათ და ხელისუფების გადაყენება ესიზმრებათ...

რჩევა მაქვს მათთვის: დააინტერესონ ნაცსექტის თავმჯდომარის პოსტით საქართველოს „დაუძინებელი მეგობრები“, აშშ-ის ელჩი, ურსულები და იქნებ, „კეზერას“ თოჯინა-ხაბე როგორღაც გადააყენონ კიდეც... ელემენტარულია, ესროლონ „მოლოტოვის კოქტეილი“ „კეზერას“, ან პირდაპირ „ხაბეს“. ნუ, მთლად დიდი ზომის ნუ იქნება, მხოლოდ იმხელა, რომ ამოწვას სადმე, თურმანიძის მალამოს (ან „კოლხურის“) ერთმა წაცხებამ რომ უშველოს...

პეტრე ცისკარიშვილმა მამლის ცისკრის ყივილივით დააყიყლიყოვა მთელ სექტას: ენმ-ში თავმჯდომარის არჩევნები 2025 წლამდე არ ჩატარდება!

გადაირია ნაცსექტა, აბა, რაი ვქნათ, რაი, ამ ჩვენის გამოიმასქნებულს რომ ვუყუროთ მანამდე, ჩვენც გამოიმასვიქნებითო.

— ახალი სისხლი! — იხუვლა „ხაბემ“ და საიდანღაც ამოქექა 20 ახალშობილი ნაცი — დედა, ლა ვუკო ლააა...

ფაქტობრივად, პეტრე ცისკარიშვილმა ნაცსექტის მოსამართლის მანტია მოირგო და ჩაქუჩის ერთი დარტყმით გადაუწყვიტა მხარეებს. „ხაბეს“ — წიხლ-მუშტის მოსახვედრ მანძილზე არ მიუახლოვდეს მელიას; მელიას — დაივიწყოს ნაცსექტის დიად ტაძართან მისასვლელი გზა!

ისე, წინ რომ ტანმორჩილი „ხაბე“ გარბოდეს და უკან ოქლაქი მელია მისდევდეს დასათეთქვად, შიშს დიდ თვალებთან ერთად გრძელი ფეხებიც აქვს და ნეტავ, მელია დაეწევა? ვთქვათ, დაეწია, მოსდებს ყბაში და გააფრენს ამერიკაში, ასე ფიქრობთ? ნურას უკაცრავად! რაც „ხაბეს“ აქვს მოხვედრილი, რუსის ბარაბანს არ მოხვედრია; ტიპი ისეთ „მსხლად“ არის ნამუშევარი, ჯეკ ლონდონის „გრინგო“ მორცხვად არის კედელთან აკრული და მელიას მითეთქვა გააფრენს ამერიკაში? — კვიპროსში, კიდევ ჰო...

„ვივამედში“ განთესილი მამათაგანი კი ნეტარებით ილოკავს ტუჩებს, მასე მოგიხდებათ თქვენ, ახლა მაინც მიხვდებით, უჩემოდ რომ არარაობები ხართო და მართალიცაა ეს ჩვენის გადანგრეული!

რა ქნას უსაქმოდ მყოფმა მანიფესტვალმოხდილმა მამათაგანმა? და აი, გამოუჩნდა საქმე „დიადი მოგონებანი საკუთარ შეთხზულ ბიოგრაფიაზე“! მას ხომ მეხსიერებაში მოკლე ჩართვა სხვაგვარად აესახება ხოლმე და აჰა, გამოსტყრცნა პროტონ-ნეოტრონები ერთად — ზუსტად იმ ნივთიერებით მომწამლეს რუსებმა, რითიც 2008 წელს სერგეი ბონდარჩუკი მოწამლეს, უკრაინის იარაღის ექსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელიო. ვერაფერი გავიგე, ბონდარჩუკმაც კუჭის რეზექცია გაიკეთა? უმთავრესი — ეს ჩვენის მამათაგანი რომ მიუშვას გამოძიებამ და ალაპარაკოს, რაც თვითონ სურს, ისეთ ჩვენებას მისცემს, მტკიცებულება რომ არ სჭირდება.

სერგეი ბონდარჩუკი მართლაც იყო იმ წლებში ს/ს „უკრსპეცექსპორტის“ ხელმძღვანელი, მერე? რატომ ჩარჩა გონებაში (თუ ამოუტივტივა) დემენციაგადატანილ მამათაგანს? იმიტომ, რომ ბონდარჩუკ-კეზერაშვილის ტანდემმა მილიარდობით დოლარის ღირებულების უკონდიციო შეიარაღების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებით „საუკუნის აფერა“ ჩაატარეს, რომლითაც სექტამ ფინანსური პირამიდა შექმნა და საკუთარი პოლიტბიუროს წევრები მილიონერებად აქცია. მთლად დიდებული დაგვირგვინება „მოგონებანი ბონდარჩუკისა“ კი ის გახლავთ, რომ უკრაინის მიერ ძებნილი (ასეთ შემთხვევებში უადგილოდ არის სიტყვა „ძებნილი“ გამოყენებული), „კეზერას“ გაჩალიჩებით დიდ ბრიტანეთში ლტოლვილის სტატუსის მქონე მოწამლული ბონდარჩუკი „ვახტანგ გორგასლის ორდენის“ კავალერია. რა თქმა უნდა, ჩაებეჭდებოდა გონებაში ბელადს, აწ მამათაგანს ეს კაცი...

„შე გრუ-ს ლეიტენანტო, შენი ადგილი არის ჰააგის სასამართლოში ერის გენოციდის მოწყობისთვის! კრემლიდან ფულს იღებდი უკრაინაში და ახლაც იქიდან გაქვს აღებული ფული საქართველოში სამოქალაქო ომის მოსაწყობად!“ — შეუძახა ზუსტად ორი წლის წინათ სააკაშვილს კაკაბაძემ, მაგრამ რა, სადაა განმკითხავი? სრულიად ჯანმრთელი კრიმინალი ტიპი მხოლოდ იმიტომ კოტრიალობს პალატაში, რომ ციხეში არ უნდა, იქ თურმე ყველანი აგინებენ და არ მოსწონს. თქვენი შერჩევითსამართლიანი დედა რომ ვატირე!

ამიტომაც, ეს კრიმინალი ტიპი მანიფესტებსაც გამოაცხობს; სამოქალაქო ომის უბადრუკ სცენარსაც დაწერს; სახელმწიფო გადატრიალებასაც მოაწყობს და, თუ წაეშველნენ, იმაზე ათასობით მეტი ადამიანის სისხლსაც დაღვრის, რაც დაუღვრია. მით უმეტეს, რომ ე.წ. პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, იდეაში, სულაც არ მიაჩნია ხავსად, პირიქით, ერთგვარად საიმედო პალოდ ესახება და სხვათა დახმარებით, შეძლებისდაგვარად, ებმის კიდეც.




ფაქტობრივად, იარაღი — სამართლიანობის ნაცვლად, ხალხს კაი მოზრდილი ტომრით გვიდგას აქეთ მზესუმზირა და იქით — პოპკორნი, ჩვენ ხელისუფლებამ დაგვიდგა, ამიტომ უდგათ თვითონაც კარგი დახლი... „რუსული კანონი“ არ მიაღებინეს „ევროპებმა“ და იმავე „რუსულ კანონს“ ახლა თვითონ იღებენ ის „ევროპები“...

**ზურა ოქხერელი**

# საუნივერსიტეტო დიპლომატია – მშვიდობის ენა



*გვესაუბრება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ზურაბ ხონელიძე:*

**— ბატონო ზურაბ, განათლება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. თქვენ უკვე ექვსი წელია, სოხუმის უნივერსიტეტის რექტორის პოსტს იკავებთ. რა არის ამ უმაღლესი სასწავლებლის მთავარი მიზანი, რა დატვირთვა აქვს მას?**

— მოგახსენებთ. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი მიზანი ქართულ და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებაა. თუმცა, აქვე გეტყვით, რომ აფხაზეთის თემის გვერდის ავლით ვერავითარი ინტეგრირება ვერ მოხდება. ჩვენ არცერთი უმაღლესი სასწავლებლის კონკურენტი არ ვართ. სოხუმის უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, მისი თემატიკა სხვა უმაღლესი სასწავლებლებისგან აბსოლუტურად განსხვავდება.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც თბილისშია, სოხუმში არსებული აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაწილია. თბილისში არსებული სოხუმის უნივერსიტეტის როლი დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღგვიქვამს ჩვენ აფხაზეთი, მისთვის რამდენად მიმზიდველი ვართ. საგულისხმოა ერთი გარემოება: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი დამოკიდებულება — ეს გახლავთ აფხაზეთის პრობლემატიკისადმი დამოკიდებულება. ჩვენი უნივერსიტეტი ყოველთვის მზად არის, საკუთარ თავზე აიღოს ყველა მტკივნეული, პრობლემური საკითხი, რაც აფხაზეთს, ჩვენი ქვეყნის მთლიანობას, ერთიანობას, მისი მომავლის უზრუნველყოფას, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირებას უკავშირდება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენ გამოვთქვამთ მზადყოფნას აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენისთვის ვიმუშაოთ. ჩემი უდიდესი სურვილია, სოხუმის უნივერსიტეტი გახდეს ხიდი ამ ორ უნივერსიტეტს შორის, რომლებიც ერთი ფესვიდანაა წამოსული. ეს პროცესი დიდი ხანია, დაწყებულია და ვიმედოვნებ, მალე სასურველ შედეგს მივაღწევთ.

მინდა, აფხაზეთის უნივერსიტეტთან დაახლოების პროცესი უფრო გაფართოვდეს, აფხაზეთისკენ ისე დავიძრათ, რომ ჩვენი კერა შევინარჩუნოთ. კარგად დავფიქრდეთ: სად შეიძლება მაქსიმალურად ჩვენი დაახლოება, რა თქმა უნდა, ადმინისტრაციულ საზღვრამდე. **მიმაჩნია, რომ საზღვართან ზუგდიდში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქოლგა უნდა გაჩნდეს, რითაც ჩვენი აფხაზი ძმების ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში შემოყვანა გაცილებით უფრო ადვილი იქნება. აფხაზი სტუდენტის, მასწავლებლის თბილისში ინტეგრირება უფრო რთული პროცესია, ვიდრე საქართველოს იმ ნაწილთან, რომელიც მას ესაზღვრება — სამეგრელოსთან.**

**— ბატონო ზურაბ, სოხუმის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო კუთხით რა სიახლეები დაინერგა?**

— თქვენ იცით, რომ გაერომ მოიწონა სამეცნიერო დიპლომატია. სოხუმის უნივერსიტეტის სწავლებაში გავაჩინე ახალი მიმართულება — **საუნივერსიტეტო დიპლომატია — სამშვიდობო ენა**. სხვა ალტერნატივა, უბრალოდ, არ არსებობს. საქართველო კონფლიქტის მონაწილე სახელმწიფოა, რადგან ის არა ჩაკეტილი, არამედ ერთიანი კავკასიური სოციოკულტურული სივრცის შემადგენელი ნაწილია. ამ რეგიონში უამრავი ქვეყნის ინტერესებია გადაჯაჭვული, სადაც ყველა ტიპისა და სახის კონფლიქტი არსებობს.

უნივერსიტეტი თავისი ქვეყნის ბედის თანაზიარია. როგორც ქვეყნის ფუნქცია გადის რეგიონზე, რაც ავტომატურად საერთაშორისო ფუნქციაცაა, ასევე, უნივერსიტეტის საერთაშორისო ფუნქციაც რეგიონზე გადის. ამიტომ ჩემი მიზანია, არსებული შიდა და გარე რესურსების მობილიზებით უნივერსიტეტი რეგიონში სამეცნიერო კვლევით-საგანმანათლებლო ცენტრად, საუნივერსიტეტო ჰაბად ვაქციო. საბედნიეროდ, დღეს ჩვენ უკვე შევიმუშავეთ საერთაშორისო ურთიერთობების ახალი ფორმა, დიპლომატიის ახალი სახეობა — „საუნივერსიტეტო დიპლომატია“.

**— რა იგულისხმება ამ ტერმინში?**

— „საუნივერსიტეტო დიპლომატია“ ისეთ უმნიშვნელოვანეს კატეგორიებს უკავშირდება, როგორიცაა „უნივერსიტეტი“ და „დიპლომატია“. მათი ორგანული შერწყმით სრულიად ახალი ფენომენი ყალიბდება. ის თავის არსში მოიცავს პრობლემათა გადაჭრისა და თვითრეგულირების დღემდე ჯერ კიდევ გამოუყენებელ, აუმოქმედებელ უნიკალურ შესაძლებლობებს.

ფაქტია, რომ აფხაზები და ქართველები მუდამ ერთი მიწის შვილები იყვნენ. „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ ფენომენმა პასუხი უნდა გასცეს მთავარ კითხვას: სად არის ბალანსი ქართველებისა და აფხაზების ინტერესებს შორის? რამდენად კავშირშია პირობითი, ეგრეთ წოდებული დამოუკიდებლობა რეალურ თავისუფლებასთან? რამდენად არის კვდომისკენ მიდრეკილი აფხაზი ერის ერთადერთი ხსნა — სასიცოცხლო სივრცის გაფართოვება და სამოქმედო არეალის გაზრდა? ასე რომ, „საუნივერსიტეტო დიპლომატიის“ ეგიდით შექმნილი ფორმატი ორი ყველაზე ახლობელი ერის წარმომადგენლებს დაგვეხმარება იმის გარკვევაში — თუ რა გვჭირს, რა სენით ვართ შეპყრობილი. გამოსავალი არა ჩვენგან შორს — მიუწვდომელ წიაღში, არამედ ორმა ძმამ — ქართველმა და აფხაზმა, შუამავლების გარეშე, საკუთარი ჯანსაღი წარმოდგენებისა და რეალობის შესაბამისობაში უნდა ვეძებოთ.

აფხაზეთის პრობლემისადმი დამოკიდებულება — ეს არის დამოკიდებულება ერთიანი ქართული სახელმწიფოსადმი. ცხადია, უნივერსიტეტის ყოველი წარმატება ქართული სახელმწიფოს წარმატებაცაა. ევროპულ არჩევანთან ერთად, რეალური, უმოკლესი გზა არის, ვემსახუროთ სამშობლოს, მის ერთიანობას, დავიცვათ ჩვენი — ქართველებისა და აფხაზების ეროვნული თვითმყოფადობა, იდენტობა. ეს გზა საუნივერსიტეტო დიპლომატიის პრინციპების დამკვიდრებაზე გადის. მწამს, რომ სოხუმის უნივერისტეტი სწორედ ის კერაა, რომელიც ამთლიანებს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. მას ესმის სამშობლოს ხმა.

ჩვენ უნდა დავძლიოთ ქვეყნისთვის ყველაზე დიდი გამოწვევა — კონფლიქტში გადაზრდილი დაპირისპირება (ვგულისხმობ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონს) და მისი რეციდივები; მშვიდობიანი გზით აღვადგინოთ დარღვეული ქართული მულტიეთნიკური სახელმწიფოს ორგანული მთლიანობა, უზრუნველვყოთ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება და ქვეყნის გარანტირებული უსაფრთხო მომავალი. ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები: საქართველოში არსებული პრობლემები სცილდება ქვეყნის საზღვრებს. მათი მოგვარება შეუძლებელია უმთავრესი მაპროვოცირებელი მიზეზის — საგარეო ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. საქართველო, სხვა ქვეყნების მსგავსად, წარმოადგენს სივრცით მოვლენას, ქმნის პოლიტიკურ მოცემულობას, არსებობს, იმართება და ცოცხლობს ამ სივრცით, ვერ იტანს სიცარიელეს, ცვალებადია და ხასიათდება შემდეგი თვისებით: იბადება, იზრდება ან ცალ-ცალკე სივრცეებად ყალიბდება, სადაც აბორიგენი მოსახლეობა შემცირებისკენ არის მიდრეკილი.

ჩვენი კონფლიქტების დარეგულირება და ქვეყნის შემდგომი ბედიღბალის განსაზღვრა საქართველოს საზღვრებს სცილდება და მხოლოდ რეგიონულ კონტექსტშია შესაძლებელი. რეგიონში იგულისხმება სამხრეთ კავკასია, სადაც სივრცის მაორგანიზებელი ცენტრის პრიორიტეტული მნიშვნელობა ოდითგანვე საქართველოს ფუნქცია იყო.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— გამოსავალი ეგრეთ წოდებული რეფორმების ნაცვლად, ხელისუფლების გონიერებაში, საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარების საფუძველში, დემოკრატიის მთავარ ინსტრუმენტში — განათლებაში უნდა ვეძიოთ. ეს კი, არა რომელიმე სამყაროსა თუ ცივილიზაციისკენ ორიენტაციით, არამედ გლობალურ გადანაწილებაში ჩართული მსხვილი ინტერესჯგუფების მიერ „პროექტად“ ქცეული საქართველოსთვის, არსებული მოცემულობის შეცვლის გარეშე მიუღწეველი იქნება. ხსნის გზა გახლავთ ის, რომ ჩვენ უნდა მოვერგოთ გეოპოლიტიკაში მიმდინარე გარდაქმნებს, საერთაშორისო წესრიგის რეგიონული ნიშნით დაქსელვის გარდაუვალ პროცესს. პოლიტიკის ძირითადი რეგულატორის — დამატებითი ინტერესისა და მსოფლიო მომწესრიგებელ ძალთა ბალანსის დაცვით შევქმნათ არამხოლოდ ქართული, არამედ რეგიონული გლობალური პროექტი, რომელიც ქართული სივრცით დაინტერესებული მსოფლიოს ძირითადი მოთამაშეების ინტერესს საქართველოსადმი, საქართველოს ერთიანობისადმი ინტერესით ჩაანაცვლებს. ქვეყანას შესძენს გლობალურ გამოწვევებთან თავსებადობის იმუნიტეტს — საერთაშორისო ფუნქციას და საქართველოს პრობლემურიდან ანგარიშგასაწევ პროგრესულ პოლიტიკურ ძალად გარდაქმნის.

აღნიშნული მიზნის განხორციელების ერთ-ერთ კონცეპტუალურ საფუძვლად მონოგრაფიული ნაშრომი — „მშვიდობის ქართული პარადიგმა“ მიმაჩნია, რომელიც ურთიერთდაკავშირებული ორი პროექტისგან შედგება:

პირველი, ეს გახლავთ „საუნივერსიტეტო დიპლომატია“, რაზეც ზემოთაც ვისაუბრეთ.

მეორე პროექტი გახლავთ სამხრეთ კავკასია — ახალი სამშვიდობო სივრცე, რომელიც წარმოადგენს რეგიონალიზმზე დაფუძნებულ ახალ, გლობალურ, რეინტეგრაციულ პროექტს, რომლის დედააზრი საერთო კეთილდღეობისა და უსაფრთხოების ერთიანი სისტემის ფორმირებით გლობალური, რეგიონული და ნაციონალური ინტერესების მორგებაშია. ის გამორიცხავს რეგიონისადმი ყოველგვარ ცალმხრივ სტრატეგიას, მოემსახურება გლობალური ფუნქციის მატარებელი ქვეყნის, საქართველოს და მის ბედთან თანაზიარ სივრცის შემადგენელი ქვეყნების – აზერბაიჯანისა და სომხეთის ორგანულ მთლიანობას, მათ გარანტირებულ და უსაფრთხო მომავალს. ეს აჩენს შესაძლებლობას, სამხრეთ კავკასია იქცეს მშვიდობის კოლექტიური წარმატების საფუძვლად, საერთაშორისო უსაფრთხოების ერთიანი სისტემის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად; ცივილიზაციათა ურთიერთკავშირის, ინტეგრაციული მიმზიდველობის, მათ შორის საერთაშორისო კაპიტალის ფორმირების მქონე რეგიონულ ცენტრად, მსოფლიოს ახალ „მშვიდობის ზონად“.

„მშვიდობის ქართულმა პარადიგმამ“, სიახლის ავტორსა და შემოქმედს, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე — სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაუჩინა შესაძლებლობა, აღედგინა ჯანსაღი ურთიერთობა თავის ისტორიულ ფესვებთან სოხუმში — აფხაზეთის უნივერსიტეტთან. ასევე, ჩაეტარებინა არაერთი პრეზენტაცია და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გაეხსნა უნივერსიტეტის წარმომადგენლობა ორლანდოში, დაეფუძნებინა სამშვიდობო განათლების კვლევითი ცენტრი, სადაც ქართველი, აფხაზი და ოსი მეცნიერ-მკვლევარები მოღვაწეობენ; კონფლიქტოლოგიის დარგობრივ მახასიათებლებში დაემკვიდრებინა ახალი ტერმინი — საუნივერსიტეტო დიპლომატია, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ახალი ფორმა და დიპლომატიის ახალი სახეობა; გაეჩინა სამმხრივი — საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მშვიდობიანი მეცნიერულ-ჰუმანიტარული დიალოგის ახალი პლატფორმა და სხვა. აღსანიშნავია, რომ „პროექტის“ მხარდამჭერებად იქცნენ მაღალი საერთაშორისო ინსტიტუციები და პერსონები. მაგალითად, ევროპარლამენტი, მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი და სხვები.

ბოლოს დასკვნის სახით ვიტყვი: ყველა ერისა თუ ქვეყნის ცხოვრებაში დგება ჟამი, როდესაც სწორი სტრატეგიული ამოცანისა და მისი სარეალიზაციო რესურსის მოძიებიდან გამომდინარე, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეა-მიზნის მიღწევის ახალი გლობალური პროექტის შეთავაზება ეროვნული რწმენის დაბრუნებას ნიშნავს. საქართველოს, რომლის ძალა მრავალფეროვნებაში, ეფექტურობა კი სივრცის გაფართოვებაშია, ვფიქრობ, სწორედ დღეს დაუდგა მსგავსი ისტორიული ჟამი და ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვება ნამდვილად შეცდომა იქნება.



**თამარ შველიძე**



# ნაცების დაბრუნების ბოლო შანსი ომია, ომი კი არ იქნება

**2004 წლის 23 ნოემბერს, ხელისუფლებაში მოსვლიდან ზუსტად ერთი წლის თავზე, „ნაციონალურმა“ რეჟიმმა დედას ერთადერთი, 19 წლის შვილი მოუკლა. ბუტა რობაქიძე, რომელიც ქუჩაში ხელებაწეული დაცხრილეს, ახლა 38 წლის იქნებოდა, მისი დედა კი - ბედნიერი ქალი... რომ დასცლოდა, რომ შეერგოთ მისთვის ბედნიერება... ახლახან იგივე რეჟიმის წარმომადგენლებმა ხელისუფლებაში მოსვლის 20 წლისთავი „პომპეზურად“ აღნიშნეს, ია მეტრეველი კი კიდევ ერთხელ შეეჭიდა გაუსაძლის ტკივილს მარტოდმარტო:**

**- 23 ნოემბერს „ნაციონალებმა“ თავიანთი გამარჯვების 20 წლისთავი აღნიშნეს. თქვენს ცხოვრებაში კი ეს დღე ყველაზე ტრაგიკულია, სწორედ ამ ადამიანების გამო. განსაკუთრებით მტკივნეულია, ალბათ, ის ფაქტიც, როცა გამოდიან და „უდანაშაულო“ ყოფილი პრეზიდენტის გათავისუფლებას ითხოვენ...**

- საშინელებაა ნამდვილად. ზოგადად, ნოემბერი ჩემთვის უმძიმესი თვეა, მით უფრო, 23 ნოემბერი. მათი თავხედობა კი, რომელთაც ადამიანებსაც ვერ ვუწოდებ, ყოველგვარ ზღვარს სცდება. მხოლოდ ჩემი შვილი რომ ყოფილიყო მსხვერპლი, ვიტყოდი, რომ მას ჰქონია ასეთი ბედი, რაღაც შემთხვევა მოხდა და მოკლეს-მეთქი, მაგრამ იმდენი ადამიანის წინაშე მიუძღვით დანაშაული, 160 ახალგაზრდა ჰყავთ ქუჩაში დახვრეტილი აბსოლუტურად უმიზეზოდ და მათ ადამიანები როგორ უნდა უწოდო? ეს ყველაფერი კი იმის გამო ხდებოდა, რომ ავადმყოფ სააკაშვილს ძალაუფლება ხელში აეღო და ძალით თუ შიშით დაემორჩილებინა ქვეყანა... ენით აღუწერელი ტრაგედია დაატრიალეს ვაზაგაშვილების ოჯახში, - მამა დააკლეს ზედ შვილს საფლავს - მსგავსი ბოროტების შესახებ თუ გსმენიათ, თუ გაგიგიათ? დღემდე უსაშველოდ მტკვა, მიჭირს იმის გაცნობიერება, თუ როგორ უსასტიკესად მოიშორეს თავიდან ეს არაჩვეულებრივი ადამიანი იური ვაზაგაშვილი, რომელიც ბოლო წუთამდე იბრძოდა შვილის მკვლელების დასასჯელად. ამავე დროს, აკეთებდა უამრავ კეთილ საქმეს, ეხმარებოდა გაჭირვებულ ადამიანებს. მას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის „ნაციონალების“ მოშორებაში... ასევე მოიშორეს ირინა ენუქიძე და ჩემი მოშორებაც უნდოდათ, მაგრამ ისე მოხდა, რომ მე გამაფრთხილეს და გადავრჩი.

ახლა კი ამ სისხლისმსმელებმა 23 ნოემბერი აღნიშნეს - ეს საშინელი თარიღი, რის შემდეგაც წლების განმავლობაში ძარცვავდნენ და ანადგურებდნენ ქვეყანას. დღემდე რასაც ბედავენ, ამ ნაძარცვი ფულით ბედავენ და კი ვხედავთ, როგორც იქცევიან.

ამიტომ მინდა, ხელისუფლებას ვთხოვო, სათანადოდ გასცეს პასუხი ამ თავხდებს და მოატანინოს ის ნაძარცვი, რაც ქვეყანას და ხალხს მოპარეს. ძალიან ბევრი დანაშაული შერჩათ „ნაციონალებს“. გარდა იმისა, რომ ოჯახები გააუბედურეს და ადამიანებს სიცოცხლე მოუსპეს, მთელი საქართველოს ბიუჯეტი ჯიბეში ჩაიდეს და ისე წავიდნენ. მათი ქონების კონფისკაცია რატომ არ ხდება? რატომ არ ჩამოერთვათ მათ ქვეყნის და ხალხის ხარჯზე აღებული ამდენი თანხა? არ დადგა დრო, როგორღაც ადგილი მივუჩინოთ, რომ ამდენს ვეღარ ბედავდნენ?

ისეთი მტერი არ ჰყოლია ქვეყანას, როგორიც „ნაციონალური მოძრაობა“ და მათი მხარდამჭერები არიან, რომლებიც განსაკუთრებული ბოროტებით გამოირჩევიან და ჩვენი ქვეყნის უპირველესი მტრები არიან. კარგად ვიცით, რომ გარეშე მტერი ვერაფერს დაგაკლებს იმდენს, რასაც შინაური მტერი დაგიშავებს. კიდევ ვიმეორებ, რომ ესენი ჩემ თვალში ადამიანები არ არიან და თუკი ვინმე დღემდე „ნაციონალურ მოძრაობას“ მხარს უჭერს, იქვე მთავრდება მისი ადამიანობაც.

**- ფიქრობთ, რომ თქვენს შემთხვევაში სამართალი აღსრულდა?**

- ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე აღსრულდა სამართალი, რადგან ყველა დამნაშავე არ არის სათანადოდ დასჯილი, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ მე ახლა უფრო უფლის სამართალს ველოდები, რომელსაც ვერავინ გაექცევა. „ბანდიტად“ გამომიცხადეს აბსოლუტურად უდანაშაულო, ანგელოზი ბავშვი და ჩემთვის ახლა ის არის მნიშვნელოვანი, რომ ბუტას სახელის რეაბილიტაცია მოხდა



და მთელმა საქართველომ გაიგო, რომ სრულიად უდანაშაულო, ხელებაწეული ბავშვი დამიხვრიტეს, გამორჩეულად კარგი ახალგაზრდა... და მის მკვლელებს რა ელით ან რა ვადით ისხდებიან ციხეში, აღარ მაინტერესებს. ჩემს შვილს მაინც ვერავინ გამიცოცხლებს, თუნდაც სამუდამო პატიმრობა ან დახვრეტა მიუსაჯონ მის მკვლელებს. მე ახლა ის ფაქტი მაცოცხლებს, რომ, როცა ქუჩაში გავდივარ, ყველა მცნობს, ჩემი ბუტა ხალხს უყვარს, დღემდე ახსოვთ, ყველა ბუტას ეფერება, ყველას გული სტკივა მის გამო, ბუტა უკვდავი გახდა თავისი გარდაცვალებით... რაც მოხდა რეალურად, მთელმა საქართველომ იცის და ეს უკვე ჩემთვის ყველაფერია.

**- სალომე ზურაბიშვილის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყავით, რომელიც სწორედ იმის გამო ავირჩიეთ, რომ პრეზიდენტის სასახლეში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი არ შესულიყო. რა დაემართა ამ ქალს?**

- რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი ვიბრძოლე იმისათვის, რომ ეს ქალი პრეზიდენტი გამხდარიყო, მაგრამ შევცდი. ამის გამო ბოდიშიც კი მოვიხადე. ჩემთვის გაუგებარია მისი ქმედებები, თუმცა არამხოლოდ მისი საქციელით ვარ გაოცებული, ბევრმა ისეთმა ადამიანმა უღალატა „ქართულ ოცნებას“, რომ ვერც წარმოვიდგენდი.





იმედი მაქვს, რომ მიხეილ სააკაშვილს მაინც არ შეიწყალებს პრეზიდენტი, ამ ნაბიჯს არ გადადგამს, თორემ ამას ნამდვილად ვეღარ აპატიებს ქართველი ხალხი. თუმცა, მან იცის, რომ არაფერი გამოუვა, რადგან მიშას მიერ ჩადენილ დანაშაულთა მთელი ნუსხაა სასამართლოში ჯერ კიდევ, რომელზეც გამოძიება მიმდინარეობს და ვერაფრით გაათავისუფლებს მას, ძალიანაც რომ მოინდომოს.

**- 2024 წელი ძალიან მნიშვნელოვანი საარჩევნო წელი იქნება ჩვენს ქვეყანაში. თქვენი აზრით, რა შანსი აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“?**

- არანაირი! ხომ ხედავთ, ერთმანეთს დაერივნენ და ახლა მხოლოდ სასაცილოდ გამოიყურებიან. ისინი ვერასდროს ეღირსებიან ხელისუფლებაში დაბრუნებას, ტყუილად წვალობენ. მათი შანსი ომია, ომი კი არ იქნება! ხომ ხედავთ, ევროსაბჭოს დადებითი რეკომენდაციის გამო როგორ არიან განერვიულებული, აღარ იციან, რა ქნან! საშინლად მტკივა გული, რომ ამ პატარა ერში ამხელა ბოროტება ბუდობს „ნაციონალური მოძრაობის“ სახით და მინდა ვუთხრა მათ, რომ ისინი ვეღარასდროს ვეღარ აიხდენენ თავიანთ ოცნებას. ყველაფერზე მიდიან, რათა ომი დაიწყოს და არეულობის დროს მაინც მოხვდნენ როგორღაც ხელისუფლებაში, თუმცა ეს არ მოხდება, ქართველი ხალხი ამას არ დაუშვებს. საქართველოს ხელისუფლება ომს არ დაუშვებს და ვერც ეს მკვლელების ბანდა ჩაიგდებს ხელში ისევ ქვეყანას. ძალიან სწორი პოლიტიკით მიდის ჩვენი ხელისუფლება, რომ არ ჩაგვაბეს არეულობაში, ომსა და უბედურებაში და არ გაანადგურეს საქართველოც ისე, როგორც ეს უკრაინას დამართა თავისმა ხელისუფლებამ.

**- როგორ ფიქრობთ, რას მოუტანს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი ჩვენს ქვეყანას?**

- ევროპამ თავისი ნება უკვე გამოხატა და ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურად მიდის, ისე, როგორც საჭიროა. რა გითხრათ, უძველესი კულტურის მქონე ქვეყანა ვართ და მე მგონი, ევროპაზე წინაც ვართ ამით. თუკი ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი და შემდეგ კი წევრობა ეკონომიკურ კეთილდღეობას, მეტ სტაბილურ განვითარებას და გარეშე მტრისგან დაცულობის მეტ გარანტიებს მოგვცემს, ამას ნამდვილად მივესალმები. თუმცა, ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სიფრთხილე გვმართებს, რადგან ამხელა რუსეთია ჩვენ გვერდით და არანაირად არ გვაწყობს მასთან ურთიერთობის კიდევ უფრო დაძაბვა. ამჟამად საქართველოს ხელისუფლება სწორი გზით მიდის და იმედია, სწორი პოლიტიკით გავივლით იმ ურთულეს გამოწვევებსაც, რასაც დღეს სამყარო გვთავაზობს.



**ნონა ქარქაშაძე**

# „ჰამასის“ პროვოკაცია – ბენიამინ ნეთანიაჰუს „მაშველი რგოლი“

უმართავი, ბუნდოვანი სიტუაცია შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში, რაც კარგად გამოჩნდა 7 ოქტომბერს. პოლიტოლოგები უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ „ჰამასის“ პროვოკაცია „მაშველ რგოლად“ მოევლინა ისრაელის პრემიერ-მინისტრს ბენიამინ ნეთანიაჰუს — მის მიერ დაგეგმილი რეფორმების გასაპროტესტებლად წლის დასაწყისიდან ფართომასშტაბიანი აქციები იმართებოდა, სადაც პრემიერის გადადგომას ითხოვდა მოსახლეობა.

„ჰამასის“ ტერორისტულ შეტევას, როგორც მოსალოდნელი იყო, ისრაელმა ღაზას სექტორში სახმელეთო ოპერაციით უპასუხა. თუმცა, ტერორისტებთან ერთად მშვიდობიანი მოსახლეობაც ზარალდება. დაღუპულთა რიცხვმა 15 ათასს გადააჭარბა.

მცირე პოლიტიკურ წარმატებას მიაღწიეს ისრაელის მეზობელმა ქვეყნებმა — ნეთანიაჰუ დაიყოლიეს დროებით ცეცხლის შეწყვეტაზე. ისრაელმა და „ჰამასმა“ დაიწყეს ტყვეებისა და მძევლების გაცვლა. ღაზას სექტორში შეიტანეს ჰუმანიტარული დახმარება — მედიკამენტები, პროდუქტი, საწვავი, თუმცა საჭიროზე მცირე რაოდენობით. ისრაელ-პალესტინის პოლიტიკოსების მოლაპარაკებას კატარი მასპინძლობდა.

სწორედ დროებითი ზავის დროს ჩავიდა ისრაელში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი, რომელიც ნეთანიაჰუს შეხვდა. ამერიკული პრესის ინფორმაციით, სახელმწიფო მდივანს იმედი ჰქონდა, რომ ნეთანიაჰუს არამარტო ცეცხლის დროებით შეწყვეტაზე, არამედ საომარი ვითარების დასრულებაზეც დაიყოლიებდა. ნეთანიაჰუმ გაიმეორა, რომ, „დროებითი ზავის დასრულების შემდეგ ისრაელის არმია კვლავ განაგრძობს სახმელეთო ოპერაციას, ვიდრე მთავარ მიზანს — „ჰამასის“ სრულ განადგურებას არ მივაღწევთ“. ნეთანიაჰუს პასუხმა გაანაწყენა სტუმარი და შეაშფოთა მსოფლიოს პოლიტოლოგები — ისრაელი არავის, მათ შორის, მთავარი მოკავშირისა და სპონსორის აზრსაც კი აღარ ითვალისწინებს.

მყიფე დროებითმა ზავმა მხოლოდ ექვს დღეს გასტანა. ისრაელის არმიამ სამხედრო მოქმედებები განაახლა, კატარიდან სასწრაფოდ გაიწვიეს დიპლომატები (რეალურად, დაზვერვის ორგანიზაცია „მოსადის“ თანამშრომლები). გავრცელებული ინფორმაციით, იგეგმება სამხედრო ოპერაციის გაფართოვება. ისრაელის მხარემ კვლავ უარი თქვა „ჰამასის“ შეთავაზებაზე, გაეცვალათ ტყვეები პრინციპით — ყველა ყველაზე. როგორც ცნობილია, „ჰამასის“ ტყვეობაში რჩება 140 ისრაელელი. სამხედრო დაჯგუფება უარს აცხადებს საბრძოლო მოქმედებების დამთავრებამდე მათ გათავისუფლებაზე.

კონფლიქტი უკვე გასცდა ღაზას სექტორის ფარგლებს და ახლა მთავარი პრობლემაა, რომ ომის ცეცხლი რეგიონში არ გავრცელდეს. საინტერესოა, რაში დასჭირდა „ჰამასს“ დროებითი ზავის პერიოდში ისრაელელთა პროვოცირება. თავიანთი ქმედებით, ფაქტობრივად, გაწირეს თანამემამულეები, ხელიდან გაუშვეს ხანგრძლივი მშვიდობის დამყარების შანსი. ამასობაში კი საბრძოლო მოქმედებები ღაზას სექტორში მნიშვნელოვნად გააქტიურდა.






უცნაური, მოულოდნელი შედეგით დასრულდა არგენტინაში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური, რომელშიც აქამდე უცნობმა ახალბედა პოლიტიკოსმა ხავიერ მილეიმ გაიმარჯვა. მილეი 53 წლისაა, განათლებით ეკონომისტი. ლექციებს კითხულობდა სხვადასხვა უნივერსიტეტში, უცოლოა, ცხოვრობს დასთან ერთად, რადგან მშობლებთან კონტაქტი დიდი ხნის წინ გაწყვიტა. იგი საუკეთესო მეგობრებად თავის ხუთ ძაღლს მიიჩნევს. გამოირჩევა უცენზურო ლექსიკით. არგენტინული პრესის ინფორმაციით, მილეი თურმე ესაუბრება თავისი ძაღლის სულს, რომელიც ექვსი წლის წინათ მოკვდა და მკვდარ ძაღლს რჩევებსაც ეკითხება. როგორც თავად მილეი აცხადებს, სწორედ ძაღლმა ურჩია, არჩევნებში მონაწილეობა მიეღო. სავარაუდოდ, ახლო მომავალში გართობა-მხიარულება არ მოაკლდება არც არგენტინას და არც საერთაშორისო საზოგადოებას.

წინასაარჩევნოდ მილეიმ დაპირებები უხვად გასცა — გეგმავს მთელი რიგი სამინისტროების გაუქმებას, მათ შორის, ქვეყნის ცენტრალური ბანკისაც. იგი შეამცირებს სახელმწიფო აპარატში მომუშავე ჩინოვნიკებს, არგენტინულ პესოს აშშ-ის დოლარით ჩაანაცვლებს. მას დასაშვებად მიაჩნია, რომ ადამიანებმა საკუთარი ორგანოებით ივაჭრონ. მილეის ოფიციალურად თანამდებობა ჯერ არ დაუკავებია, მაგრამ პირველად აშშ-ს ესტუმრა, თუმცა ოფიციალურმა პირებმა იგი არ მიიღეს. სამაგიეროდ, მონაზულა ებრაელების საფლაო და იუდაიზმის მიღების სურვილი გამოთქვა. დაველოდოთ, რას მოიმოქმედებს პრეზიდენტის რანგში.

გაურკვევლობამ დაისადგურა მსოფლიოს პოლიტიკურ არენაზე. ევროპის ბევრ ქვეყანაში მოსახლეობის უკმაყოფილება საკუთარი მთავრობების მიმართ აშკარა გახდა. ნიდერლანდებში ახლახან ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში პარტია „თავისუფლებამ“ გაიმარჯვა. საკანონმდებლო ორგანოში პარტია 37 ადგილს დაიკავებს. პარტიის ლიდერს გერტ ვალდერსს მთავრობის კაბინეტის დასაკომპლექტებლად დ ალიანსის შექმნა მოუწევს. მისი წინასაარჩევნო პროგრამა რადიკალურად განსხვავდება წინამორბედებისგან. უფრო მეტიც, ვალდერსი გეგმავს რეფერენდუმის ჩატარებას ევროკავშირიდან ქვეყნის გასვლის თაობაზე, უარს აცხადებს უკრაინისთვის შეიარაღებით და ფინანსურ დახმარებაზე და არც რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებზე უარის თქმას გამორიცხავს.

ჯერ უცნობია, როგორ დაკომპლექტდება ნიდერლანდების მინისტრთა კაბინეტი, მაგრამ ვალდერსის გეგმები უკვე აშფოთებთ ევროკავშირის ჩინოვნიკებს. ექსპერტ-პოლიტოლოგების შეფასებით, თუ ნიდერლანდები თუნდაც წამოჭრიან ევროკავშირიდან გასვლის საკითხს, ადვილი შესაძლებელია, ამოქმედდეს ე. წ. დომინოს პრინციპი. მით უფრო, რომ რამდენიმე წლის წინ ორგანიზაცია ერთ-ერთმა წამყვანმა ქვეყანამ ბრიტანეთმა დატოვა. სულ ახლახან, სლოვაკეთში არჩევნებში გამარჯვებულმა რობერტ ფიცომ თავისი სამუშაო ევროკავშირის დროშა გაატანინა, სამაგიეროდ, თვალსაჩინო ადგილზე ჩამოკიდა მეოცე საუკუნის ლათინოამერიკელი რევოლუციონერის ერნესტო ჩე გევარას ფოტო. როგორც ცნობილია, უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი რამდენიმე წელია, ევროკავშირის რეორგანიზაციას ითხოვს.

უთანხმოებას ევროკავშირის ქვეყნებში მიგრანტების მიღება-დაბინავების პრობლემაც აღრმავებს. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა გერმანიასა და საფრანგეთში. ორივე ქვეყანაში მიგრანტების მიერ ჩადენილმა მძიმე დანაშაულებმა საგრძნობლად იმატა, რაც ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს. ამას ემატება მზარდი ინფლაცია და ფასების მკვეთრი ზრდა. გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ გერმანიის 2024 წლის ბიუჯეტში 260 მლრდ ევროს დეფიციტია მოსალოდნელი. თუმცა კანცლერი ოლაფ შოლცი ოპტიმისტურად არის განწყობილი. მისი არ სჯერათ ოპოზიციურ პარტიებს და პირდაპირ მოუწოდებენ გადადგომისკენ.

გასულ კვირას აშშ-ში ასი წლის ასაკში საკუთარ სახლში გარდაიცვალა მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი პოლიტიკოსი, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი ჰენრი კისინჯერი. მის აზრს ყოველთვის ითვალისწინებდნენ არამარტო აშშ-ის პრეზიდენტები (დღევანდელი ადმინისტრაციის გარდა), არამედ სხვა ქვეყნების მეთაურებიც. ჰენრი კისინჯერის მოღვაწეობაზე ბევრის თქმა შეიძლება, ბევრი საგულისხმო და საინტერესო გამონათქვამიც დაგვიტოვა, მაგრამ განსაკუთრებით გამორჩეულია მისი ერთი ფრაზა: „ცუდია იყო აშშ-ის მტერი, მაგრამ გაცილებით უარესია, იყო მისი მეგობარი“. სავარაუდოდ, ეს გამონათქვამი მან ანდერძად დატოვა.



უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა გასულ კვირას კატარში — ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტით ჩასულ გერმანიის პრეზიდენტს ვალტერ შტაინმაიერს აეროპორტში კატარის ოფიციალურ პირთაგან არავინ დახვდა. მართალია, თვითმფრინავის ტრაპთან დაგებული იყო წითელი ხალიჩა, იყო საპატიო ყარაულიც, მაგრამ მასპინძლებიდან არავინ ჩანდა. გერმანიის პრეზიდენტს ნახევარი საათი ლოდინმა მოუწია. კატარელებმა თავი იმართლეს, შტაინმაიერის თვითმფრინავი დათქმულ დროზე ადრე დაფრინდაო, რაც არარეალური მიზეზია, რადგან ნებისმიერი ქვეყნის პრეზიდენტის საერთაშორისო ფრენები კონტროლდება. ექსპერტების განცხადებით, ცივად დახვედრის მიზეზი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ანალენა ბერბოკის კატარის შესახებ უხეში გამონათქვამი გახდა. ასეა თუ არა, უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს — მსოფლიომ იხილა თვითმფრინავის კარში მდგარი შტაინმაიერი.

მძიმე მდგომარეობაშია უკრაინა. ზაფხულში დაწყებული კონტრშეტევა წარუმატებელი აღმოჩნდა, რასაც თავად პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკიც აღიარებს. „... წარმატება ბრძოლის ველზე უცებ გვინდოდა, რასაც ვერ მივაღწიეთ“, — აცხადებს იგი. წარუმატებლობას პრეზიდენტი საბრძოლო შეიარაღების უკმარისობას აბრალებს. თუმცა აშშ-მა და ევროპის ქვეყნებმა მრავალმილიარდიანი შეიარაღება გადასცეს უკრაინას, მაგრამ სად წავიდა, ამის შესახებ არაფერს ამბობენ. წარუმატებელ კონტრშეტევაზე საუბრობენ დასავლურ პრესაში. გამოცემა „დეილი მეილის“ ინფორმაციით, უკრაინამ 200 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე დაკარგა ბოლო 6 თვეში. დიდ დანაკარგებზე თავად ზელენსკიც ალაპარაკდა და ნატოში გაერთიანებაც სათუოდ მიაჩნია. ალიანსის გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგიც პესიმისტურად არის განწყობილი. იგი აცხადებს: „უნდა შევეგუოთ, რომ მომავალში უკრაინიდან სამწუხარო ამბებს გავიგებთ“. ევროკავშირის დახმარებაც სათუო ხდება, რადგან პოლონეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი უკრაინის დაფინანსების წინააღმდეგი არიან. აშშ-ის რესპუბლიკელი კონგრესმენებიც უარს აცხადებენ უკრაინის დახმარებაზე.

შიდა პოლიტიკური დაპირისპირება უკრაინაში გამძაფრდა. ზელენსკის მომხრეებმაც შეაქციეს ზურგი. არესტოვიჩი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებდა რუსეთთან ომში ჩართვისკენ, ახლა აცხადებს, რომ რუსეთთან ომის დაწყება შეცდომა ყოფილა. დავით არახამიას განცხადებით, შარშან გაზაფხულზე რუსეთთან მიღწეული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა ჩაშალა. ახლა უკვე კარგად გამოჩნდა, თუ რას მოუტანდა ჩვენს ქვეყანას რუსეთთან შეიარაღებული დაპირისპირება, რომ არა ხელისუფლების მართლაც ბრძნული გადაწყვეტილება — შეგვენარჩუნებინა ნეიტრალიტეტი.

**გია ბურდული**

# აქციებზე დამნაშავე პოლიციელთა გამოვლენა საზღვარგარეთაც რთულია



**სპეციალური საგამოძიებო უწყება, რომელსაც ბატონი კოკა კაციტაძე ხელმძღვანელობს, საერთაშორისო ორგანიზაციათა რამდენიმე ქსელის წევრი გახდა. დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყების მიზანი, სხვა დანაშაულებთან ერთად, პოლიციელთა მხრიდან ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაა. კანონით სსუ მხოლოდ პარლამენტის წინაშეა ანგარიშვალდებული.**

**როგორია სპეციალური საგამოძიებო ორგანოს ახალი გეგმები, რას ნიშნავს საერთაშორისო ქსელში მისი გაწევრიანება? ამ და სხვა შეკითხვებზე სპეციალური საგამოძიებო უწყების საერთაშორისო დეპარტამენტის დირექტორს, ქალბატონ ნათია ფირაშვილს ვესაუბრეთ.**

- მოგეხსენებათ, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახური ევროკავშირთან ასოცირების ფარგლებში შეიქმნა და სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, ისეთი დამოუკიდებელი მექანიზმი, უწყება ჩამოეყალიბებინა, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ჩადენილ დანაშაულს გამოიძიებდა. თორმეტი რეკომენდაციიდან ერთ-ერთი სწორედ სპეციალური საგამოძიებო ორგანოს შექმნას ეხება. რეალურად, ჩვენმა სამსახურმა ძალიან მოკლე დროში შეძლო ევროკავშირის მე-4 რეკომენდაციის შესრულება, რომელიც დამოუკიდებელი ორგანოს გაძლიერებას გულისხმობს.

როგორც ყველა უწყებას, ჩვენს უწყებასაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად საერთაშორისო ურთიერთობები მიაჩნია, რომელიც არა მარტო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა , არამედ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებაც არის.

ძალიან მიკლე დროში შესაძლებელი გახდა, მოგვეპოვებინა ნდობა და აქტიურად გვეთანამშრომლა. დაახლოებით, ოთხმოცამდე ერთობლივ ღონისძიებაში გვაქვს მონაწილეობა მიღებული. მათ შორის არის ოთხი დიდი პროექტი ევროპის საბჭოსთან და ევროკავშირთან ერთად ,რომელიც დოკუმენეტების ექსპერტიზას, ტრენინგებს, ვიზიტების მხარდაჭერას და სხვა მსგავს საკითხებს მოიცავს.

თითქმის ყველა დოკუმენტი, რომელიც შევიმუშავეთ, საჯარო დისკუსიაზე გავიტანეთ, აკადემიურ წრეებს გავაცანით საერთაშორისო მეთოდოლოგიები ერთიანი საგამოძიებო პოლიტიკის შესახებ და სახელმძღვანელოებად გამოვეცით.

**- ბოლო დროს თქვენი უწყების წარმომადგენლები ხშირად იმყოფებით საზღვარგარეთ, მართავს შეხვედრებს. რა არის ამ ვიზიტების მიზანი?**

- როდესაც სპეციალური საგამოძიებო სამსახური შეიქმნა , პრიორიტეტად ამ უწყებაში საერთაშორისო მიმართულების შექმნა და გაძლიერება დავსახეთ. საზღვრებს გარეთ ჩვენი მსგავსი მანდატის მქონე ინსტიტუტები მოვიძიეთ. ანალიზისა და გამოკვლევების ფონზე გამოვავლინეთ კოლეგა-უწყებები. დავასახელებ ბელგიის სამსახურს, რომელიც წარმოადგენს საპოლიციო მონიტორინგის სამსახურს და მხოლოდ პარლამენტის წინაშეა ანგარიშვალდებული.

მოგეხსენებათ, დიდ ბრიტანეთის ანალოგიურ უწყებას, როგორც დამოუკიდებელ ინსტიტუტს, საპოლიციო საქმიანობის ზედამხედველობის მდიდარი გამოცდილება აქვს. ჩვენ მიმდინარე წლის განმავლობაში შევხვდით ბრიუსელში ბელგიის უწყებას და გავიზიარეთ გამოცდილება სამართალდამცავთა მხრიდან ძალის გადამეტების მართვის გამოძიების თვალსაზრისით. ასევე დიდ ბრიტანეთში ჩვენ შევხდით მეტროპოლიტენის პოლიციას **სკოტლანდ იარდის** ჯგუფს და გვქონდა შესაძლებლობა, კომისრის მოადგილისაგან მოგვესმინა საუბარი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის არასრულწლოვანთა დანაშაულებების გამოძიების თავისებურებები და სპეციფიკა.

არსებობს საპოლიციო საჩივრების განმხილევლი დამოუკიდებელი უწყებების ქსელი IPCAN, რომლის მთავარი ოფისი პარიზში მდებარეობს.

წელს ყოველწლიურ შეხვედრაზე მაისის თვეში მიგვიწვიეს სტრასბურგში. ამ ქსელში გაწევრიანება გარკვეული კრიტერიუმების გარეშე შეუძლებელია, მაგრამ 2023 წელს მაინც მოვახერხეთ და მისი წევრი გავხდით.

**- როგორც ჩანს, პოლიციელთა მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტები სხვა ქვეყნების პრობლემაც არის. როგორ ხდება დამნაშავე პოლიციელთა გამოვლენა და დასჯა?**



- დიახ, სწორედ ამის თქმა მინდა. როგორც აღმოჩნდა, ეს ყველა ქვეყნისათვის გამოწვევაა. მოგეხსნებათ ბრიუსელი არის ქალაქი, სადაც წელიწადში ორიათასამდე მიტინგი და მანიფესტაცია იმართება და იმის იდენტიფიცირება ხალხმრავალი მიტინგების დროს, კონკრეტულად რომელმა პოლიცილემა გადაამეტა ძალას, უფლებამოსილებას, მთთვისაც ძალიან რთული გამოსაძიებელია. როცა სპეციალური ქვედანაყოფის მებრძოლის სახე არ ჩანს, რთულია კანონის დამრღვევი პოლიციელის ამოცნობა.

ვინაიდან სამართალდამცავთა მხრიდან ძალადობის გადამეტების ფაქტებს ვიძიებთ, ჩვენ გავწევრიანდით სხვადასხვა ქსელში, რომლებიც მსგავსი საქმეების გამოძიებით არიან დაკავებული, მიწვეული ვიყავით ლონდონში და გავხდით ICIN. იმ ქსელის წევრი, სადაც სკოტლანდ იარდია გაწევრიანებული. ამის შედეგად ვიძენთ სხვადასხვა გამოცდილებას,რაც შესაძლებლობას გვაძლევს, დავგეგმოთ სასწავლო ვიზიტები.

ჩვენ ასევე ვართ EPAC წვერები, რომელიც კორუფციის წინაღმდეგ ბრძოლასთან ერთად, საპოლიციო ზედამხედველობის საქმეებსაც იძიებს. ეს ორგანიზაცია დიდი ხნის დაარსებულია და 126 წევრ ქვეყანას აერთიანებს.

IPAC ფინანსდება ევროკავშირიდან. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, გამოცდილების მიზნით იქ გავგზანოთ ჩვენი თანამშრომლები, რომლებიც ადგილზე გაეცნობიან მათი გამოძიების მეთოდოლოგიებს. **დღეს დანაშაული მაღალი ტექნოლოგიების წყალობით იმდენად გათანამედროვდა, რომ მის გამოვლენას თავისი სპეციფიკა აქვს და თუ გამოძიებაც არ გათანამედროვდა, დანაშაულსაც ვერ გავხსნით. ამდენად, მათი გამოცდილების გაზიარება ჩვენთვის მნიშვნელოვანია.**

**- საერთაშორისო ქსელთან ურთერთობა თუ გულისხმობს გამოძიების პროცესში თანამშრომლობას და ოპერატიული ინფორმაციის გაცვლას?**

- რა თქმა უნდა, გულისხმობს და ორგანიზაცია ICIN სწორედ ამ ფუნქციასაც ატარებს.

**- და ბოლოს, რას გეგმავთ სამომავლოდ?**

- საკმაოდ დატვირთული და ნაყოფიერი საერთაშორისო ვიზიტების წელი გვქონდა დღეს. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჩვენი მსგავსი მანდატის მქონე უწყება არ არსებობს. ბატონი კოკა კაციტაძის დამსახურებით გავაძლიერეთ საერთაშორისო მიმართულება. ჩვენი მიზანია, გვქონდეს ნდობა ადგილობრივ საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ქსელთან. გვაქვს ექვსწლიანი სტრატეგია, რომელიც საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

**ლევან ჭიღლაძე**





# შეძლებს თუ არა ჩინეთი დოლარის ემისიის შეჩერებას

(დასაწყისი „სგ“ N38.)

ამერიკის შეერთებული შტატებისა და მსოფლიო ეკონომიკის 18 თეზისის მე-7 პუნქტი ასეთია: ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ფული ნაციონალური ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს.

ფული — ეს ხიდია საქონლის წარმოებასა და სუფთა ფინანსურ სფეროებს შორის, ანდა სხვადასხვა გადახდისუნარიან საზოგადოებრივ ელემენტებს შორის.

ნაციონალური ფულის ნდობა — ეს არის ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა.

ოქროს რეზერვი, დაგროვილი ცენტრალური ბანკის მიერ, წარმოადგენს აზრიანად დაგროვებულ კაპიტალს, მაგრამ, ამავე დროს, ნაციის ვალუტის უკანასკნელ დაცვას ირაციონალურის პირისპირ, საერთაშორისო ფინანსური სისტემის შესაძლებელი კრახის წინაშე, რომელსაც კრედიტებითა და ვალუტით უზომო, გადაჭარბებული მანიპულაცია ძალუძს.

როცა ეროვნული ვალუტა იღუპება, ხალხი ყველაფერს კარგავს!

მე-8 პუნქტი. ვალუტის ღირებულება ეფუძნება არა ფინანსურ ან სპეკულატურ ეიფორიას, არამედ, გამომდინარეობს საქონლის წარმოებიდან. ის წარმოიშობა:

რეალური ოქროსა და ვერცხლის მარაგის შევსებიდან;

ძლიერი ვალუტების რეზერვებიდან, რისკისა და რეალური პროცენტების თანაფარდობის (ზრდის დიფერენციის) პროექტირებიდან;

წლიური წარმოებისა და საბიუჯეტო პოლიტიკის ბალანსიდან;

სახელმწიფოების, საწარმოებისა და კერძო პირების დავალიანებებიდან;

რეალური შესყიდვისუნარიანობისა და ნაციონალური მოთხოვნილების დონიდან;

სახელმწიფოების, საზოგადოებისა და სამეწარმეო აპარატის კონკურენტუნარიანობიდან;

სახელმწიფო სისტემის დაცვის შესაძლებლობიდან;

ქვეყნების გეოსტრატეგიული პოზიციიდან და მოსახლეობის მორალური სახიდან.

მე-9 პუნქტი. დოლარის კურსის დაცემა აშშ-ის ზე, სუპერდავალიანების გამო წარმოადგენს იმ განსხვავების ლოგიკურ შედეგს, რომელიც არსებობს დოლარსა და მის სავალუტო დანიშნულებას შორის ოქროსთან მიმართებაში. ეს გახლეჩვა წარმოიშვა 1968 წლის 14 მარტს აშშ-ის სენატში.

პუნქტი მე-10. ამ გადაწყვეტილების მიღების წყალობით ამერიკულმა ვალუტამ „დრეიფი“ დაიწყო, დაკარგა ყოველგვარი რეალური განზომილება (გადაანგარიშებული წარმოებულ საქონელში), იოლად მანიპულირებადია სწრაფად მზარდი და არაკონტროლირებადი ფინანსური კრედიტებით.

პუნქტი მე-11. საქონლის წარმოების ეკონომიკური რეალობა იმართება დეფიციტის კანონებით, რომელიც ყოველთვის კონსტანტად რჩება. სუფთა ფულადი ეკონომიკა კი, პირიქით, მანიპულაციის საშუალებით თავიდან იცილებს დაპირისპირებას რეალურ სასაქონლო დეფიციტსა და მუდმივად მზარდ ფულად მასას შორის — ბადებს ილუზიებს.

მე-12 პუნქტი. საქონელსა და ფულს შორის ღირებულებითმა დამოკიდებულებამ მსოფლიო დონეზე მიაღწია დასაშვებ ზღვრულ დონეს. ეს ურთიერდამოკიდებულება საკმაოდ სახიფათო ციფრია. წონასწორობის შენარჩუნება მხოლოდ ყველა საქონელზე ფასების ელვისებური აწევით შეიძლება.

პუნქტი მე-13. კარგად ვამჩნევთ „გადადებული“ ინფლაციის ფენომენს. კრედიტების მუდმივი ზრდით წარმოქმნილ ფულად მასებს (ფულადი და საგადასახადო პოლიტიკა როგორც ასეთი, ფულად კრედიტს წარმოადგენს) მხოლოდ კრედიტებიდან აღებული პროცენტების ხარჯზე დიდხანს არსებობა არ შეუძლიათ — ინფლაციის საშიშროების ქვეშ ისინი სასაქონლო სფეროსკენ მიილტვიან, რადგან მხოლოდ რეალური სასაქონლო ბაზრით არის შესაძლებელი




მდგომარეობის შენარჩუნება.

ჰიპერინფლაციის შედეგად დოლარი და მასთან ერთად მსოფლიო ვაჭრობისა და საერთაშორისო ფინანსური სისტემებიც განადგურდება.

კრედიტების პირამიდა დაინგრევა!

მე-14 პუნქტი. მონეტარული ექსცესი ამერიკულ სახელმწიფო სისტემას არასტაბილურობამდე მიიყვანს. მონეტარიზმი მსოფლიოში დემოკრატიისა და თავისუფლების შენარჩუნების წინააღმდეგ ეგზისტენციალურ გამოწვევას წარმოადგენს.

მე-15 პუნქტი. ამერიკული ვალუტის ავადმყოფურად ზედმეტად შეფასებაზე უარის თქმა და აშშ-ის ოქროს რეალური მარაგი, ჯერ კიდევ შეძლებდა მის სივრცეში დოლარის გადარჩენას;

კრედიტებისა და ფინანსების საერთაშორისო სისტემა შეძლებდა, რომ შენარჩუნებული ყოფილიყო დავალიანების ვალდებულებათა გადაუდებელი გაუქმებითა და მოშლით ურთიერთანგარიშების გადაყვანით პროცენტებისა და ვალების დონიდან რეალური სასაქონლო და ოქროს გადაფარვის დონეზე.

მე-16 პუნქტი. ეს სტაბილიზაციის სტრატეგიაა, მოახლოებული განადგურების ერთადერთი შესაძლებელი ალტერნატივა, მაგრამ არ შეიძლება, ეს სტრატეგია რეალიზებული იქნას სერიოზული სოციალური რყევების გარეშე. საჭიროა სერიოზული ფიქრი იმის შესახებ, რა გზით არის შესაძლებელი, რომ ნაკლებად მტკივნეულად მოხდეს ეს.

მე-17 პუნქტი. დღეს აუტანელია ვალებისა და პროცენტების სისტემა. ის უკვე აღარ შეესაბამება ეკონომიკურ რეალობას.

სასაქონლო ეკონომიკის რეალურ ზრდას ვალების პროცენტებით განუხრელი ზრდა ახრჩობს, რაც, საბოლოოდ, კიდევ უფრო მეტად დამახინჯებულ და გაუკუღმართებულ ეფექტუბამდე მიიყვანს პროცესებს. თუ ეს ყველაფერი ისევ გაგრძელდება, რეალური ეკონომიკური აგენტები ფინანსურ ბაზარზე ქაღალდის ფულით მთლიანად დაკარგავენ ნდობას.

მე-18 პუნქტი. მხედველობაში გვაქვს რა ეს ყველაფერი, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ:

პირველი: ოქრო — ეს არის დეფიციტის ინდიკატორი და სწორი სავალუტო სარკე, რომელიც ადამიანის გარშემო არსებულ ეკონომიკურ სიტუაციას ირეკლავს. ყველანაირი ვალუტა დაიღუპება, თუ ოქროსთან კავშირს შეწყვეტენ. ოქრო თავისთავად წარმოადგენს ყველა ფასეულობის მატერიალურ განხორციელებას. ის არის ალფა და ომეგა ფინანსურ სამყაროში.

ოქრო ფულადი დისციპლინის ინსტრუმენტია და უკანასკნელი საშუალებაა უზრუნველყოს ვალუტის ღირებულება. სუბიექტური სისტემების ცდომილება ოქროს დახმარებით ხდება ობიექტური ფაქტებით; ანდა, სავალუტო ტრენდამით. ეკონომიკური ისტორია აჩვენებს, რომ ეს პროცესი მუდმივად მიმდინარეობს.

მეორე — ადამიანი მონეტარისტულ სამყაროში თავისი მოქმედი ეგოიზმითა და არასტაბილურობით თვრება. კრედიტებით შექმნილი ეს სამყარო, დაგროვილი ვალებითა და პროცენტებითა და პროცენტების პროცენტებით მას აუცილებლად დაღუპავს, ბოლო-ბოლო, დაანგრევს ნაციონალურ ვალუტებს.

მესამე — ვალუტების ოქროსთან კავშირს ამ კრედიტების კოლექტიური სიგიჟისთვის მხოლოდ ხელის შეშლა შეუძლია.

ოქრო არის დომინირებული ინსტანცია და უკანასკნელი დაცვა ეკონომიკური ირაციონალობის წინააღმდეგ. ვალუტა, რომელიც არ არის ოქროთი უზრუნველყოფილი, რაციონალური ბარიერია.

იცით, რა რაოდენობის ოქრო გადის კაზრეთიდან საქართველოს საზღვრებს გარეთ? როგორც ამბობენ, კვირაში 80-100 კგ-მდე, სუფთა ოქრო – 24 კგ. ეს ოქროს გაფილტვრა და მოპოვება კი არა, ნიჩბით ოქროს ხვეტაა! ამ წონის ოქროს მოპოვებას კანადაში 3 თვე მაინც სჭირდება და ისიც სათუოა... ადრეც გადიოდა ჩვენგან ოქრო, მაგრამ სანაცვლოდ მისი საფასური შემოდიოდა, რაც ქვეყანას ხმარდებოდა, ახლა ვის საკეთილდღეოდ გაედინება?

ის ხელისუფლება, რომელმაც საკუთარი ქვეყნის ოქროს საბადო ვიღაცას მიჰყიდა/მიაქირავა, რისი ღირსია?!

ნაციონალური ვალუტის დაკარგვა ფასეულობების დაკარგვას ნიშნავს, რაც ირაციონალიზმის ტრიუმფს წარმოადგენს.

ვალუტის რეგულატორის ოქროს ეტალონთან გაკეთება კი გონივრულობის დანერგვას ნიშნავს.

„ამერიკის შეერთებული შტატებისა და მსოფლიო ეკონომიკის 18 თეზისი“ ასეთი სახით დაბეჭდა ბელგიურმა ჟურნალმა „**VOULOIR**“-მა მასალა, რომელიც თქვენ შემოგთავაზეთ, მაგრამ რითი დავიწყე?

იმით, რომ მსოფლიო ოქროს შესყიდვების „ტოპ-სამეულში“ ისედაც მყოფმა ჩინეთმა გაააქტიურა ოქროს ყიდვისუნარიანობა თუნდაც მაქსიმალურ ფასებში და თუნდაც ნახევრადლეგალური წყაროებიდან. შესყიდულ ოქროს ის განავსებს არა ჩინეთის საზღვარგარეთის აქტივებზე, არამედ, მხოლოდ ქვეყნის შიგნით, სახელმწიფო და კომერციულ საცავებში და ისე იქცევა, თითქოს მსოფლიოში არსებული ოქროს მაქსიმალური რაოდენობით შესყიდვა სურს. ამ დროისათვის კი ჩინეთის ხელში არსებული ოქროს მოცულობა 30 ათას ტონას შეადგენს. სწორედ ამიტომ ვწუხდი კაზრეთზეც და საყდრისზეც.

საქართველოში ფერადი ლითონების წარმოების პირველ ობიექტად ბოლნისის რაიონში არსებული პოლიმეტალის საბადო და საწარმო მიიჩნევა, რომელიც საქართველოს დედაქალაქიდან მხოლოდ 80-მდე კმ-ის დაშორებით მდებარეობს.

აღნიშნული საბადოს შესწავლა გასული საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო და მისი ძიება სამრეწველო ათვისებამდე რამდენიმე ეტაპად წარმოებდა, რასაც, თავისთავად, დაბა კაზრეთის წარმოქმნა მოჰყვა.

1975 წლიდან კომბინატი სპილენძის, ბარიტის, ოქრო-ვერცხლის შემცველი კვარციტებისა და პოლიმეტალური მადნების მოპოვებას, მოპოვებული მადნების პირველად გადამუშავებას, გამდიდრებას და რეალიზაციას აწარმოებდა.

ასეთი სიმდიდრე სხვას რატომ უნდა ჩაუგდო ხელში თუ შენი ქვეყნის მტერი არ ხარ?

საქართველოში ოქროს საბადოებიც არის და ოქროს მოპოვებისთვის ე. წ. პერსპექტიული უბნებიც, ამიტომ, ავდგეთ და ისინიც სხვას შევატენოთ?

ვენაცვალე სვანებს! ოქროთი დაინტერესებული ჩინური კომპანია რომ მიადგა სვანეთს, სადაც ქვიშრობული ოქროს საკმაო მარაგია და ოქროს მოძიება დააპირეს, ისეთი დღე აყარეს... — პრობლემები შეუქმნეს და მუშაობა ვეღარ განაგრძეს.

ოქროს, როგორც ადამიანს, თავისი გენეტიკური კოდი აქვს, რომლის დადგენაც ძალზე იოლიაო... ქართული ოქროს გარჩევაც, რომელიც საკმაოდ ხარისხიანია, ადვილი ყოფილა...

ერთი რამ არ მესმის — გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებს და კვლევებს თუ იმის გამო აღარ ატარებს სახელმწიფო, რომ ძვირი ჯდება და ამიტომ ეს საქმიანობა კერძო კომპანიების ხელშია, რომლებიც სპეციალური ლიცენზიით მოქმედებენ, ალოგიკურად მხოლოდ მე მეჩვენება? ვიღაც კერძო კომპანიები თუ სახელმწიფოზე შეძლებულები ყოფილან, დავქცეულვართ მთლად და ვერ გაგვიგია!

გთავაზობთ იმ ადგილების ჩამონათვალსსადაც ოქროსთან ერთად მოიპოვება სპილენძი, კობალტი და სხვა ძვირფასი ლითონები:

კავკასიონის სამხრეთი ფერდი — რაჭიდან და სვანეთიდან დაწყებული ზოლი, რომელიც, ლამის კახეთამდე მიდის; ამავე კალთებზე გამავალი მდინარეები; ბოლნისის მადნიანი ველი; თრიალეთის ქედზე არსებული ღაღვი-გუჯარეთის უბანი; ადიგენის მუნიციპალიტეტიდან წალკის მუნიციპალიტეტამდე, რომელშიც ხაშურის, ბორჯომისა და ქარელის ტერიტორიებიც შედის; გურია-ზოტის უბანი; მერისის მადნიანი კვანძი, რომელიც აჭარაში მდებარეობს.

ჰოდა, გავყიდოთ პირდაპირი წესით „ოქრომრავალი კოლხეთი“ და ვინც მეტს გადაგვიხდის, იმას მივეყიდოთ ბარემ!..

ღმერთო, რა გახდა ამ პატარა საქართველოსთვის სამშობლოს გულითადად მოყვარული ერთი პატიოსანი ქართველი კაცის მოვლინება! ციდან მეტეორი კი არა, ასეთი კაცები (ქალები) გვტყორცნე!

**ზურა ოშხერელი**

# მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნები ოქროს მარაგის მიხედვით

მიუხედავად 1971 წელს ბრეტონ-ვუდსის „ოქროს სტანდარტის“ სისტემის გაუქმებისა, მსოფლიოს ცენტრალური ბანკების რეზერვების მართვაში ოქროს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება — ოქროს შეუძლია უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკის მხარდაჭერა საგანგებო სიტუაციებში და არ დაუშვას დეფოლტი. ამ მიზნით სახელმწიფოებს ამ ძვირფასი მეტალის მსხვილი მარაგები გააჩნიათ.

სხვადასხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს შორის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებსა და ქვეყნების ოქროს მარაგის ოდენობაში ცვლილებებს თვალს ადევნებს მსოფლიოს ოქროს საბჭო (**World Gold Council**). ეს კომერციული ორგანიზაცია 1987 წელს შეიქმნა მსოფლიოს ოქროს მომპოვებელი ქვეყნების მიერ. **WGC**-ის ამოცანა მსოფლიო ბაზარზე ოქროზე მოთხოვნის სტიმულირება და სტაბილიზირება, ამ მეტალს ინვესტირების ხერხების განვითარება, საიუველირო სამკაულების ბაზრის დაცვა და მისი გამოყენების ახალი სფეროების განვითარებაა.

გთავაზობთ მსოფლიოს ოქროს საბჭოს ყოველწლიურ საერთაშორისო საფინანსო სტატისტიკურ ანგარიშს ფიზიკური ოქროს მარაგის შესახებ, რომლებიც ქვეყნების საკუთრებაშია (2022 წლისათვის).

### ამერიკის შეერთებული შტატები
### (8133,5 ტონა)

ოქროს ყველაზე დიდი სარეზერვო მარაგი ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს და ის მსოფლიოს ოქროს რეზერვების 68,5 %-ს შეადგენს.

ამერიკის ოქროს მარაგის ნახევარი ფორტ-ნოქსში, კენტუკის შტატში ინახება. ოქროს მეორე ნახევარი სამ საცავშია დაცული: ნიუ-იორკის შტატში, ვესტ-პოინტის ზაზინაში; კოლორადოს შტატში, დენვერის ზაზინაში; ნიუ-იორკში, მანჰეტენზე მდებარე ფედერალურ სარეზერვო ბანკში.

### გერმანია
### (3357,5 ტონა)

გერმანიას მსოფლიოში მეორე და ევროპაში პირველი ადგილი უკავია ოქროს მარაგის მიხედვით. მსოფლიოს ოქროს რეზერვებს შორის მოცულობით გერმანიის ოქრო 67,9 %-ს შეადგენს.

2017 წლამდე გერმანიის ოქროს მარაგი სხვა ქვეყნების ბანკებში იყო განთავსებული: აშშ-ში, ნიუ-იორკში, დიდ ბრიტანეთში, ლონდონში და საფრანგეთში, პარიზში. ქვეყანის პოლიტიკაზე ამერიკის გავლენის შესამცირებლად, 2013 წლიდან გერმანიამ თავისი ოქროს მარაგის ფრანკფურტის ბუნდესბანკის საცავში დაბრუნება დაიწყო. 2017 წლისთვის გერმანიის ტერიტორიაზე მისი ოქროს რეზერვების 50,9% დაბრუნდა. აშშ-ის ტეერიტორიაზე 38,8 %პროცენტი, ხოლო დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე გერმანული ოქროს 12,5% რჩება.

### იტალია
### (2451,8 ტონა)

იტალიის ოქროს მარაგის მოცულობა 1999 წლიდან არ შეცვლილა და მსოფლიოს ოქროს მარაგის 65%-ს შეადგენს.

იტალია ოქროს რეზერვს ზოდებით ინახავს, რომელთა საერთო წონა 4,1 ტონას შეადგენს. ზოდები და მონეტები რომში, იტალიის ბანკის მთავარ ოფისში ინახება. ოქროს რეზერვის ნაწილი იტალიამ, გერმანიის მსგავსად, შესანახად სხვა ქვეყნებს გადასცა (43,3% ნიუ-იორკის ფედერალურ სარეზერვო ბანკში ინახება, 6,1 % შვეიცარიის ბერნის საცავში და 8,8% ლონდონის საცავში).

### საფრანგეთი
### (2436,6 ტონა)

საფრანგეთის ოქროს მარაგი მსოფლიოს ოქროს სავალუტო რეზერვების 60,3 %-ს შეადგენს. გერმანიისა და იტალიისგან განსხვავებით, საფრანგეთი მთელ ოქროს მარაგს თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე ინახავს. ამერიკის საცავებიდან ოქროს დაბრუნება საფრანგეთმა 1960-იანი წლებიდან დაიწყო. 2013 წლისთვის საფრანგეთმა 91% პროცენტი ოქროს დაბრუნება შეძლო. 9% დიდ ბრიტანეთში, ლონდონში რჩებოდა. 2022 წელს საფრანგეთმა ეს პროცესი დაასრულა.

საფრანგეთის ოქროს მარაგი ზოდებში პარიზში ქვეყნის მთავარ ბანკში **Banque de France**-ში ინახება, რომლის საცავი მიწის ქვეშ 29 მეტრის სიღრმეზე მდებარეობს.

### რუსეთი
### (2298,5 ტონა)

მსოფლიოს ოქროს სარეზერვო მარაგებში რუსეთის ოქროს წილი 22,1%-ია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ოქროს რაოდენობა საცავებში 4,7-ჯერ გაიზარდა.

რუსეთის ოქროს მარაგი 100-1000-გრამიან, 10-14 კგ-იან ზოდებსა და მონეტებში მოსკოვში მთავარ საცავში, დარჩენილი ნაწილი კი სანკტ-პეტერბურგისა და ეკატერინბურგის საცავებში ინახება. შესაძლოა, სხვა ქალაქებშიც, რის შესახებაც ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს.

### ჩინეთი
### (1948,3 ტონა)

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მსოფლიოში უმსხვილესი ოქროს მწარმოებელია და 2000-იანი წლებიდან სწრაფად ზრდის საკუთარ ოქროს რეზერვებს. ამ საუკუნეში მისი რაოდენობა 1,5 ტონით გაიზარდა. მსოფლიოს ოქროს მარაგებში ჩინეთის ოქროს წილი 3,6%-ია.

ჩინეთი ოფიციალურ წყაროებში არ ასაჯაროებს ოქროს მარაგის შენახვის ადგილს. სავარაუდოდ, ის პეკინში, ჩინეთის სახალხო ბანკის საცავში ინახება.

### შვეიცარია
### (1040,0 ტონა)

მიუხედავად იმისა, რომ ოქროს მარაგის მიხედვით შვეიცარია მეშვიდე ადგილზეა, ერთ სულ მოსახლეზე ოქროს რეკორდული რაოდენობა მოდის. შვეიცარიის ოქროს მარაგზე მსოფლიოს ოქროს რეზერვების 6%-ს შეადგენს. ქვეყნის ტერიტორიაზე შვეიცარია საკუთარი ოქროს მარაგის 70%-ს ინახავს, რომელიც ბერნში, შვეიცარიის ნაციონალური ბანკის საცავში ინახება. დანარჩენი მარაგის 20% დიდ ბრიტანეთში, ლონდონში ინახება, 10% კი კანადის ცენტრალურ ბანკში.



### იაპონია
### (846,0 ტონა)

იაპონია ოქროს მარაგს 1951 წლიდან ზრდის, როცა ფიზიკური ოქროს რაოდენობა ქვეყანაში 9,2 ტონას შეადგენდა, დღეს იაპონიის ოქრო მსოფლიო რეზერვებში 3,9%-ს შეადგენს. 2001 წელს იაპონიის ოქროს მარაგი 11,6 ტონით, 2021 წელს კი 80,8 ტონით გაიზარდა. იაპონიის ოქროს მარაგი ტოკიოში, იაპონიის ცენტრალურ ბანკში ინახება.

### ინდოეთი
### (761,3 ტონა)

ინდოეთის ოქროს მარაგის ძირითადი ნაწილი ნაგპურის სარეზერვო ბანკშია დაცული. მსოფლიო ოქროს სავალუტო რეზერვებში ინდოეთის წილი 7,8 %-ს შეადგენს.

1991 წელს ინდოეთის მთავრობამ ოქროს 8 ტონა ინგლისის ბანკში გაგზავნა იმ კრედიტის უზრუნველსაყოფად, რომელიც ქვეყანაში არსებული კრიზისის გადასალახად დასჭირდა. ინდოეთმა ვალი გადაიხადა, მაგრამ ფიზიკური ოქროს დაბრუნება ვერ შეძლო უსაფრთხოებასთან და დაზღვევასთან დაკავშირებული სირთულეების გამო. ინდოეთის ოქროს რეზერვის ეს ნაწილი კვლავ დიდ ბრიტანეთში რჩება, რაშიც ინგლისის ბანკი მფლობელს პროცენტებს უხდის.

### ნიდერლანდები
### (612,5 ტონა)

ნიდერლანდების ოქროს მარაგის წილი მსოფლიოს სავალუტო რეზერვებში 58,2%-ს შეადგენს. ნიდერლანდების ოქროს მარაგის 31 % ქვეყნის ტერიტორიაზე, 38% ინგლისისა და კანადის ბანკებში, დანარჩენი 31% კი ამერიკის ფედერალური სარეზერვო ბანკის საცავში ინახება.

2020 წელს ნიდერლანდების ცენტრალურმა ბანკმა ოქროს შენახვის ადგილი შეცვალა. ის ამსტერდამის საცავში ინახებოდა, ახლა ნიდერლანდების ოქროს მარაგი **Camp New Amsterdam**-ის სამხედრო ბაზაზე, ჰარლემთან, ჩრდილოეთ ჰოლანდიის პროვინციის დედაქალაქთან ახლოს ინახება.

საინტერესოა, მოხვდება თუ არა მომავალში საქართველო უმდიდრეს ქვეყნების სიაში და რომელ ადგილს დაიკავებს.

**ბელა გველესიანი**



იტალია



აშშ



შვეიცარია

# შეუთავსებელთა შეთავსება

საკრალური (დაფარული) თემების რეტროსპექტივა, რომელსაც სსუ-ის საპატიო დოქტორი, ჟურნალ **„კირბის“** (ოქროს სწამისი) მთავარი რედქტორი, მწერალი **გური ოტობაია** უძღვება, ამ წერილით მთავრდება წლეულს. ცნება **„შეუთავსებელთა შეთავსება“** სამყაროს სინონომია. იგი ზედმიწევნით აწესრიგებს ურთიერთგამომრიცხავი სიდიდეების, მისწრაფებებისა თუ ფასეულობათა თანაქმედების ურთულეს პროცესებს; წიგნი ასახავს ჩვენი პლანეტარული ცივილიზაციის შემოქმედი **პროტოიბერიელების** დღემდე უცნობ საკრალურ ცოდნას; მომავალში კვლავაც ვისაუბრებთ ნაწილისა და მთელის შესინთეზების ალქიმიაზე; ვიმსჯელებთ ატლანტიდელებზე, რომლებიც **პლატონის, შტაინერის** გადმოცემით საგნებისა და მოვლენების ერთბოლოიან განზომილებად გაფეტიშებამ, ცალმხრივად განსჯამ დაღუპა; **და რადგანაც ჭეშმარიტი ცოდნა დღეს მიზანმიმართულად დევალვირებულია, არსებული ჩიხიდან გამოსვლა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ ოლიგარქიულ აზროვნებას, რომელსაც მმართველობიდან რატომღაც გამორიცხავენ ვიეთნი.** დღევანდელ ექსტრემალურ სიტუაციაში პოტენციურად მხოლოდ მათ ხელეწიფებათ ანტიკაცობრიული, ანტიადამიანური ძალების მიერ დაღუპვამდე მიყვანილი მსოფლიოს გადარჩენა. ეს იქნება მათი მხრიდან კოლექტიური გმირობის ტოლფასი. დიახაც, სინათლისკენ სწრაფვაში კაცობრიობის ხომალდის საჭესთან დროზე თუ ვერ მოვიყვანთ ამ ხალხს, ცივილიზაციის მიერ ათასწლეულებიუის განმავლობაში შექმნილი ყოველი მშვენიერი და ამაღლებული თვალის დახამხამებაში გაცამტვერდება თვით პლანეტასთან ერთად; თუკი ჩვენ ამ ხალხს დაუხანებლად არ ვატვირთვინებთ სამყაროისეულ მისიას, თუკი არ გავამარჯვებინებთ ეგოისტურ მესაკუთრულ ბუნებაზე, თუკი ვერ აღვძრავთ მათში კაცობრიობის მომავალზე ერთობლივი პასუხისმგებლობის სანუკვარ განცდას, დედამიწისეული ცივილიზაციის წიგნი სამუდამოდ დაიხურება.

**ტელ.: 571 21 27 70. ელ. ფოსტა: guriotobaia@gmail.com**



## წერილი მეექვსე

## (თეზისები)

**ცხოველის** მოაზროვნე ადამიანად ჩამოყალიბებას მილიონობით წელი დასჭირდა აფრიკიდან ბოლნისამდე. იგი სამყაროს მიკრომოდელია, ანუ ახასიათებს სამი განმსაზღვრელი ძალის თანამშრომლობა: **ელექტრონის, პროტონისა და ნეიტრონის**. გააჩნია სამყაროს შემოშვების **„6“** სისტემა და არა **„5“: ფერის, სმენის, შეხების, გემოვნების, ყნოსვის,** დაბოლოს, ყველასგან დავიწყებული **აზროვნება,** რომელიც ამ „5“-ის სინთეზის შედეგია.

**ქალის** ბიოლოგიური უნარი — **შობადობა** პირველყოფილ საზოგადოებებში უმეტოქეო იარაღი გახლდათ. ამიტომ არის დაღმამიმართული, წვერგასერული ტოლფერდა სამკუთხედი (საშოს სიმბოლო) დამწერლობის წამყვანი ნიშნული შუმერში. თუმცა დროთა ვითარებაში ქონებრივი დიფერენციაცია ამ სამკუთხედს სულ სხვა — საბრძოლო შინაარსს მიანიჭებს — შუბის ბუნიკის, მშვილდ-ისრის, ხმლისას, მაგრამ გვინდა თუ არა, გარდუვალი საკაცობრიო განსაცდელი ისევ სამშვიდობო ინსტრუმენტად — გუთნად გადააქცევს მათ.

**ყველა** პატარა თუ დიდ ერს უნდა არსებობა დროსა და სივრცეში. ერი არაფერია გარდა ატომებისა სამყაროს მასშტაბით. დედამიწის პოლიტიკური რუკა ამ გაგებითაა აშენებული, თუმცა კი მისი სიმდიდრე ზოგს მეტად შეხვდება ხოლმე და ზოგსაც — ნაკლებად. ხმალი, მშვილდი, ბორბალი, ატომი ამისი ქვაკუთხედია. კაცობრიობის გონება ადრე თუ გვიან მივა იქამდე, რომ ევრაზიაში ამოქაჩული ნავთობით მხოლოდ ევრაზიის საკუთრება ვერ იქნება, იგი სრულიად კაცობრიობის სიმდიდრეა, როგორც წყალი, ჰაერი. აი, ადამიანის მეექვსე გრძნობა ამ მომენტიდან შეიძენს ზოგადკაცობრიულ მასშტაბებს. მზეც ამნაირად „იქცევა“ — განურჩევლად მოაფენს სხივებს დიდ-პატარას. შევხედოთ გენიალურ რუსთველს:

50. **ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,**

**დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების!**

**უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების.**

**უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების.**

არ დაგვავიწყდეს, მეთორმეტე საუკუნეა, 850 წლის წინათ თქმული!

**ორპოლუსიან თუ ერთპოლუსიან მსოფლიოს** — სოციალისტურ-კაპიტალისტურს თუ მხოლოდ კაპიტალისტურს — ცალცალკე თითოეულს ჰყავს თავისი აღმაშენებელიცა და დამაქცევარიც. კაპიტალისტურისთვის ასეთი ძალა ექსპლოატირებული კლასებია, სიციალისტურისთვის, კაპიტალისტურის მიერ მასში ჩანერგილი „მეხუთე კოლონა“ შინაური მტრების სახით. მოვსპეთ თითქოს სოციალისტური სისტემა და მსოფლიო **ერთპოლუსიანი** გავხადეთ, მაგრამ კვლავინდებურად შიმშილობენ მილიონები აფრიკის თამადობით მთელს მსოფლიოში; კვლავინდებურად ითელებიან უმწიფარი გიგონები ჰარამხანაბორდელებში; კვლავინდებურად იღვრება უდანაშაულოთა სისხლი უკრაინასა თუ პალესტინაში... ესე იგი ვერ იხეირა მსოფლიომ, როცა ორპოლუსიანი იყო და ვერ ხეირობს მსოფლიო დღესაც, რაჟამს ერთპოლუსიანი გამხდარა. ნუთუ გამოსავალი არ არის და აი, აჰა, იბადება **თანაქმედების** დიდებული განცდა: **იძულებით თანამშრომლობის აუცილებლობა, ანუ სინთეზური აზროვნება.**

**ნებისმიერი** ბრძნული თეორია წესით, სინთეზურია! მსოფლიოს სადღეისო მონაცემებით, **2300-ზე მეტი მილიარდერი** ჰყავს. ასევე მსოფლიოს ჰყავს **87 მილიონზე მეტი მილიონერი და მულტიმილიონერი**. საკითხავია, ოდესმე დაურიგებენ ისენი ღარიბ-ღატაკებს თავიანთ სიმდიდრეს?! აქ ჩვენ უნებლიეთ ახალი პროკრუსტე დაგვჭირდება, რომელსაც სასწაულებრივად მოუწევს ნემსების ყუნწთა გაფართოვება, ან ასევე სასწაულებრივად აქლემების დაწვრილება მათში გასარონიებლად. არსებობს თუ არა შანსი, **მოგების ბუნება** და ამ მოგების გამო დისკრიმინირებული საზოგადოება ერთმანეთთან შეთავსდნენ?! ანუ ზემოთ დასახელებულ **2300** და **67 000 000** ჰიპერფინანსური კასტა და მსოფლიო მოსახლეობის — **7 მილიარდ 800 მილიონ ადამიანი**?! და აი, იბადება კონგენიალური სინთეზის მოთხოვნილება. გამოცდილებით თეთრ ქვას თეთრ ქვებში მალავენ ხოლმე, ძაღლის ნაკბენს ისევ ძაღლის ბალანი შველის.

დიახ, დედამიწის გადარჩენა ისევ ამ **2300** და **67 000 000** ზემდიდარს ძალუძს. ოღონდ ჩვენ უნდა შევძლოთ მათი მაქსიმალური მოყვანა სახელისუფლებო შტოებში. ისინი ისედაც მარიონეტი მმართველების დამფინანსებლები არიან. მაგრამ არა, თვითონ უნდა მოვიდნენ ხელისუფლებაში. ასეთ მმართველობას კნონობითად **ოლიგარქიულს** უწოდებენ დღევანდელ მსოფლიოში, რადგანაც **მდიდარი კაცი ხელისუფლებაში — ეს იგივე მგლისთვის ცხვრის მიბარებაა სამწყემსავად, ეს იგივე მისი და მისი კლანის ბიზნესინტერესების ლობირებაა;** მაგრამ, თუ დავუშვებთ, რომ ეს მდიდრები დემოკრატიული იდეალების პოზიციაზე დადგებიან, თანაც ერთი და ორი კი არა, **მთელი დიდი ოქტავით,** საინტერესოა, რა სურათს მივიღებთ მსოფლიოში დროის უმოკლეს მონაკვეთში?!

**— აილაგმება ომი უკრაინაში, ღაზას სექტორში თუ სხვაგან.**

**— შეწყდებს ატომური ბომბის აფეთქებები მიწის წიაღში, წყალში. ატომური ბომბების ენერგიას შეეცვლება ვექტორი თბოენერგეტიკული მიმართულებებით;**

**— გაჩაღდება მილიონობით ჰექტარი ნახევარუდაბნოებისა და უდაბნოების ათვისება ჟანგბადის მოსამრავლებლად. დედამიწა ისევ გაიმდიდრებს ოზონის შეთხელებულ ფენას. გამოცოცხლდება მკვდარი ზღვები, ტბები და მდინარეები.**

**— ამოვარდება მოძრაობის მაგისტრალებიდან ბენზინზე მომუშავე ავტომობილები ელექტრომობილების ხარჯზე;**

**— ადამიანების აღზრდა წარიმართება ჭეშმარიტი ფასეულობებით, მეტს იზრუნებენ მათი ფიზიკური და სულიერი ამაღლებისთვის.**

**— დემოგრაფიული პრობლემა მალთუსის ომების დოქტრინით კი არ გადაიჭრება, არამედ გონივრულ მართვას დაექვემდებარება.**

**ტყუის** ნებისმიერი ეროვნული მოძრაობა, რომელიც იჩემებს სრულყოფილების მიღწევას მხოლოდ ნაციონალური ფასეულობებით. სრულყოფილებისთვის შენ ნაწილი ხარ მხოლოდ, ე. ი. ვერაფრით აღივსები მთავარი ინტერესის გაუთვალისწინებლად. შლაგბაუმივით ყოველ გადასახვევთან ხარ ჩასაფრებული მებაჟესავით და ამით განგიზრახავს შენი ერის უზრუნველყოფა. **აშშ** იარაღის შიშით თრგუნავს დანარჩენ მსოფლიოს და ლამის მუქთად მიაქვს ნედლეული მისგან, ამავდოულად, არ არის პასუხისმგებელი იმ **28 ტრილიონ დოლარზე, მსოფლიოსი რომ მართებს;** მაგრამ რომელი ჭკუათმყოფელია, ეს ვალი ჰონორით მოსთხოვოს?! დიახაც, ამ ვითარების გამო არის **აშშ-ში** ცხოვრება სხვა ქვეყნებთან შედარებით წარმატებული. მათ დღეს ყველაზე მეტი მილიარდერი, მულტმილიონერი და **62 მილიონი** მილიონერი ჰყავთ, ეს მაჩვენებელი დანარჩენი მსოფლიო მილიონერების **42** პროცენტია, ანუ გამოდის, რომ მთელ პლანეტაზე დაახლოებით **87** მილიონი მილიონერი გვყოლია, ძლივს ამერიკელებზე 16 პროცენტით მეტი.

**დედამიწა** არ შეუქმნია ადამიანს, დედამიწამ შექმნა ადამიანი. ცივილიზაციებს არ შეუქმნიათ დედამიწის მშვენიერებანი, დედამიწამ შექმნა ცივილიზაციათა მშვენიერებანი. ჩვენი ხსნა ქონებრივი პრიორიტეტის თანდათანობითი ჰუმანიზაციაა. სინთეზური აზროვნება აერთიანებს ამ ორ, შინაარსით განსხვავებულ სიდიდეს, პლუსს და მინუსს და ქმნის ახალ — ნაციონალურ-გლობალურ სამყაროს. ოკეანეში არ ჩანს წვეთი, როცა მისი სიზიადე იმ წვეთების ერთობლიობითაა ნასაზრდოები. არ დაიკარგება ქართული სული და მასთან ერთად უამრავი ქვეყნის სული. **ჩვენ დიდი პატივი მოგვაგო უფალმა, როცა ხსნად ბატონი ბიძინა ივანიშვილი მოგვივლინა. ვისურვებდი ყველა ქვეყანას მოვლენოდეს მსგავსი ფენომენი და კაცობრიობა აზენიტებულია.** მსოფლიოს გადარჩენის, მისი ხვალინდელი დღის მოდელი საქართველოა. იგი მის პოლიფონიურ სიმღერებშია დალექილი. შვიდი კაცი რომ პურობაზე დაჯდება, უსიმღეროდ ხმაური შეიქმნება. შვიდი ხმა ქარქაშ-სატევარსავით რომ შეეთავსება ერთმანეთს, აქ უკვე შვიდი კი არა, მონუმენტური ერთია, მონუმენტური ერთმთლიანი! ეს არის იბერიული მისიის გენიალურობა — შეუთავსებელთა შეთავსების ქვაკუთხედი. დაემატება ამას ცეკვა ციბრუტებით, რათა შეძენილი ნიშან-თვისებები სამუდამოდ ჩაიბეჭდოს სხეულში და კაცობრიობა ნაშველია! **აი, რა გადაარჩენს მსოფლიოს — იბერიკონი, კავკასიური რასა — გაქართველება!**



# საქართველოს ვერ გააქრობ!

(დასაწყისი „სგ“ N38.)

მოკლედ ვთქვათ რაშია საქმე, კიდევ რა ინფორმაცია გააქრეს და გადააკეთეს. დავიწყოთ იმ საყოველთაოდ აღიარებული ფაქტით, რომ ძველი ელინური ცივილიზაცია ამჟამინდელი საბერძნეთის ტერიტორიაზე მას შემდეგ აყვავდა, რაც უმოწყალოდ გაანადგურა და შთანთქა მისი წინამორბედი პროტოქართული, იგივე პელაზგური ცივილიზაცია. იმაზე არავინ და ვერავინ კამათობს, რომ ინდოევროპული წარმომავლობის ბერძნულ ცივილიზაციამდე აღნიშნულ სივრცეში არსებობდა მართლაც უნიკალური პროტოქართული, ანუ პელაზგური ცივილიზაცია.

ახლა კი მივყვეთ სიცრუის კასკადის ერთ ეპიზოდს.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, აღმოსავლეთით ქორთუ ხალხი და დასავლეთით სპერულ-კოლხური ერთეული ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა და დროთა განმავლობაში ერთ ოჯახად გაერთიანდა ქართველის სახელწოდებით. სიტყვა „ქართი“ შექმნილია ორი სიტყვის შეერთებით „ქიანა ართი“ და ორივე სიტყვა კოლხურია (მეგრული), „ქიანა“ — ქვეყანა, მიწა-წყალი, სახელმწიფო და „ართი“ — ერთი, ერთიანი.

ჩვენს უძველეს დამწერლობას (ლურსმნულს) მისი შემქმნელები „ემეგრ“-ულს უწოდებენ წერილობით წყაროებში და ასეა განმარტებული ბრიტანეთის, კოლუმბიისა და სხვა ენციკლოპედიებშიც, ასევე, ლურსმნული დამწერლობის სახელმძღვანელოებში...

იშვიათი გამონაკლისების გარდა, დღემდე საჯაროდ არავინ (ვერავინ) ამბობდა, რომ საქართველოს ისტორია გაყალბებულია და ახლიდან არის დასაწერი. არადა, დღემდე აღმოჩენილი და კვლევებით დადასტურებული შედეგებით, რეალურად რამდენი საუკუნე, რამდენი წელი აქვს „გადათეთრებული“ საქართველოს ისტორიას, ვინ დათვლის...

ისეთი ხილული ფაქტები დევს, უბრალოდ, დაკვირვებული ადამიანიც შეკითხვებს დასვამს. ამჯერად, დღემდე კვლევის საგნად დარჩენილ „ოქროს საწმისზე“ ვთქვათ. აღვნიშნოთ, რომ ლევან სანიკიძეს „უქარქაშო ხმლებში“ კლავდიუს ელიანუსის წყაროებზე დაყრდნობით უწერია, რომ ეს იყო „შეკვეთილი ისტორია“ და მივყვეთ სიმართლეს.

აიეტი — კოლხეთის მეფეა!

პერსი — აიეტის ძმა, ტავრიელების მეფეა ყირიმში!

ალოიე — აიეტის კიდევ ერთი ძმა, მოიხსენიება როგორც „დაფქვილი პურის ღმერთი“!

აიეტის დები:

ქალიფსო (კალიფსო) — ანუ „ქალი ფსოუდან“, მოიხსენიება როგორც ქალღმერთთა ღმერთი, რომელიც ფლობდა კუნძულ ოგიგიას ხმელთაშუა ზღვის დასავლეთში!

ფაცია (ფასოფეა) — მინოსის მეუღლე და კრეტას დედოფალი, ლეგენდარული არიადნას დედაა!

ცირა (ცირცეა) — კუნძულ ეას (აიას) ოქროსფერთმიანი დედოფალი, რომელიც თითქმის ყველა ევროპელი ხალხის მითიურ დედად მიიჩნევა! (ცირა მიიჩნევა იტალიის პირველი მეფის ავსონის დედად; ასევე დედად იტალიისა, აპენინის ნახევარკუნძულს დღეს მთელი მსოფლიო „იტალიას“ უწოდებს და ა.შ.).

და ვინ იყვნენ ამ დროს „არგონავტები“, უძველესი ბერძნული ცივილიზაციის წარმომადგენლები, რაც, უპირველეს ყოვლისა, მარტივი ქრონოლოგიით დასტურდება?

მარტივად ავხსნათ: ზუსტად ვიცით, რომ ბერძნებმა ტროას უძველესი პროტოქართული ცივილიზაცია ჩვ. წ. აღ-მდე მე-13 საუკუნეში დაამხეს, „არგონავტები“ კი ამ მოვლენებამდე, სულ ცოტა, რამდენიმე ასეული წლით ადრე ეწვივნენ კოლხეთს. ანუ ეს ის პერიოდია, როდესაც ბერძნებს ჯერ არ ჰყავდათ არც „ისტორიის მამად“ აღიარებული ჰეროდოტე, არც უდიდესი მოაზროვნე პლატონი და არც „ილიადას“ ავტორი ჰომეროსი.

ბერძნები ძალიან იყვნენ დაინტერესებული „ოქროს საწმისით“, რაც, ბუნებრივია, უბრალოდ, ოქროსფრად მოელვარე ცხვრის ტყავი კი არა, ისეთი განსაკუთრებული რამ იყო, რის გარეშეც ბერძნებს არსებობა აღარ შეეძლოთ!

ახლა ვნახოთ, კონკრეტულად ვინ არიან არგონავტები:

უფლისწული იაზონი, ჰერაკლე (ზევსის შვილი), თეზევსი (ასევე ზევსის შვილი და ათენის დამაარსებელი), პროკრუსტე, სიზიფე, ლაერტი, პოლიდევკი, ავგეა (ცნობილი თავლების მეპატრონე), ავთოლიკე (ელინებს შორის უეშმაკესი და უფლიდესი ღმერთის, ჰერმესის შვილი), ასკლეპიოსი (მედიცინის ღმერთი), ანთეოსი, ორფეოსი (პოეტთა პოეტი), კენეუსი (რომელიც ქალად იყო გარდასახული) და ათობით ასეთი ღმერთი თუ ნახევრად ღმერთი — ზევსის, პოსეიდონის, აპოლონისა და დიონისეს შვილები.

მოკლედ რომ ვთქვათ, „არგონავტები“ სხვადასხვა ეპოქის მსოფლიო ნაკრები ყოფილა და როგორ მოხვდებოდნენ ერთ ხომალდზე? — ეს უკვე მითიც აღარ არის, ხელისგულზე გადაშლილი სიყალბეა... „არგონავტების“ მიერ კოლხეთიდან ოქროს საწმისის გატაცება იყო და არის როგორც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი აფერა, ამასთანავე, დადასტურებული დანაშაული!

მსოფლიო დაარწმუნეს, რომ ვითომ კოლხმა მედეამ მამას და სამშობლოს უღალატა, ბერძნებს ოქროს საწმისი გაატაცებინა და ასე შემდეგ, მაგრამ საქმე რომ პირიქითაა? — არგონავტებმა რომ მედეა მოიტაცეს, ეს თვით „ისტორიის მამად“ აღიარებული ჰეროდოტეს უძველეს და უნიკალურ ნაშრომებშია დაფიქსირებული.

აი, რას წერს ჰეროდოტე თავის ცნობილ „ისტორიაში“ (წიგნი, „კლიო“): „ელინებმა უსამართლობა მეორედ ჩაიდინეს. გრძელი ხომალდით მისცურეს აია-კოლხიდაში, მდინარე ფაზისთან და იქ გააკეთეს ის, რისი გულისთვისაც მივიდნენ, მოიტაცეს მეფის ასული მედეა. კოლხთა მეფემ გააგზავნა ელადაში მოციქული, რომ მოეთხოვა სამართალი მოტაცებისთვის და უკან გამოეთხოვა ასული; ხოლო ელინებმა უპასუხეს, რომ არც მათ უგიათ პასუხი მათ წინაშე არგოსელი იოს მოტაცებისთვის და ამიტომ არც თვითონ აპირებენ, რომ მისცენ მათ რაიმე...“

ჰეროდოტე მედეას მოტაცების ამბავს ასე აგრძელებს: „ამბობენ, რომ მეორე თაობაში ამის შემდეგ, ალექსანდრე პრიამოსის ძემ მოინდომა, რომ თავისთვის ელადადან მოეტაცა ქალი. მან კარგად იცოდა, რომ არ მოუხდებოდა პასუხისგება, რადგან არც იმათ უგიათ თავის დროზე პასუხი. ასე მოიტაცა მან ჰელენე... ტროელებმა თავი იმით იმართლეს, რომ შეახსენეს ელინებს მედეას მოტაცება... ელინებმა კი ერთი ლაკედემონელი ქალის გულისთვის დიდი ლაშქარი შეკრიბეს, შემდეგ მივიდნენ აზიაში და პრიამოსის ძალაუფლება დაამხეს...“

ანუ ჰეროდოტე მოგვითხრობს პარის პრიამოსის ძის (ალექსანდრეს) მიერ ელენეს მოტაცებაზე და ამ ამბიდან გამომდინარე დაწყებულ ბერძენ-ტროელთა ომზე, რაც ტროას უძველესი კულტურის დამხობით დასრულდა... ტროელები იყვნენ პროტოქართული, პელაზგური წარმოშობის ხალხი (ამის შესახებ ზვიად გამსახურდიას აქვს გამოქვეყნებული შესანიშნავი კვლევები)!

ერთი რამ, ფაქტია, სწორედ „ოქროს საწმისის“ ელადაში ჩატანას უკავშირდება იმ ძველი ბერძნული ცივილიზაციის რენესანსი, რომლითაც ასე აღტაცებულია მთელი კაცობრიობა. არადა, ძველი ბერძნული ცივილიზაცია სწორედ კოლხეთიდან გატაცებულ სიბრძნეზე აღმოცენდა...

ფაქტობრივად, კაცობრიობის ისტორიის დაყოფა ორ ეტაპად შეიძლება — „ოქროს საწმისის მოტაცებამდე“ და „ოქროს საწმისის მოტაცების შემდეგ“...

მოკლედ, ბერძნებმა პროტოქართული ცივილიზაციის ნანგრევებზე ააშენეს თავიანთი კულტურა და, იმავდროულად, ისტორიაც საფუძვლიანად გააყალბეს!..

მედეას არც შვილები მოუკლავს, ევრიპიდემ რატომ გაავრცელა ეს ისტორიული მნიშვნელობის ჭორი, მხოლოდ ქალთმოძულეობის გამო თუ მოსყიდულიც იყო, სხვა საკითხია; ასევე ისიც, აპოლონიოს როდოსელი რატომ ცრუობდა, ფაქტი ის არის, რომ მედეას შვილიშვილი ილოსი იყო ქალაქ ილიოსის (ტროას) დამაარსებელი და ბებიისგან იცოდა სასიკვდილო შხამების დამზადება, მაგრამ უარით ისტუმრებდა ისრის წვერზე შხამის წასასმელად მისულ ისტორიულად დადასტურებულ ცნობილ მთხოვნელებს...




როგორც ერთი ისტორიკოსი ამბობს, იმ სიმდიდრისა და აღმოჩენების საფასური, რაც ბერძნებმა გაიტაცეს კოლხეთიდან და მსოფლიომ გამოიყენა და რაც მსოფლიომ უნდა გადაუხადოს საქართველოს, არითმეტიკისთვისაც კი მიუწვდომელია...

კატეგორიულად ვამბობ: არ უნდა აირიოს „არგონავტები“ იმ უმაღლესი ცივილიზაციის ბერძნებში, რომელთაც მსოფლიო იცნობს. „არგონავტების“ დროის „სადღაციდან“ შემოჭრილი, პრაქტიკულად, ნახევრადველური ინდოევროპული ტომების ძველბერძნული სამყარო იყო მძარცველურ-ავაზაკური და დამანგრეველი მენტალობის სივრცე. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ „ოქროს საწმისის“ მომპოვებელ არგონავტებში ავთოლიკეა მოხსენიებული, ბერძნული ღმერთის, ჰერმესის შვილი, ჰერმესისა, რომელიც ქურდებისა და ავაზაკების მფარველი იყო. თვით ბერძნული მითოლოგიით, ჰერმესმა თავის შვილს მიზნის მისაღწევად უფლება მისცა, ტყუილზე დაეფიცა მისი სახელი... (იმაზე აღარ არის საუბარი, რომ მედეას ცდუნებაში ჩართული იყვნენ ჰერა, ათენა, აფროდიტე და სულაც ეროსმა ესროლა მას სიყვარულის ისარი).

თუმცა რა, აგერ, ჩვენ თვალწინ წაშალეს რუსთაველის ფრესკა თანამედროვე ბერძნებმა, ამაზრზენი დანაშაული ჩაიდინეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში და იქით გვედავებოდნენ, რა პრეტენზიები გაქვთ, ჯვრის მონასტერი თქვენი არასოდეს ყოფილაო...

ჰომეროსი, პლატონი და სრულიად ბერძნული ცივილიზაცია მხოლოდ მას შემდეგ შვა ძველმა ელადამ, რაც ბერძნებმა კოლხეთიდან „ოქროს საწმისი“ მოიპარეს...

ქართველებს არ აღმოგვიჩენია, რომ კაცობრიობის უძველესი ცივილიზაცია პროტოიბერიულ-პროტოქართული იყო, ამას მსოფლიო დონის მსოფლიო მკვლევარები ამტკიცებენ!

ამდენად, რომ არ ყოფილიყო კოლხური „ოქროს საწმისი“, იმდროინდელი „წმინდა გრაალი“, ვერ შეიქმნებოდა ძველბერძნული ცივილიზაცია!

რომ არ ყოფილიყო ძველბერძნული ცივილიზაცია, ვერ შეიქმნებოდა ძველი რომის ცივილიზაცია!

რომ არ ყოფილიყო რომაული ცივილიზაცია, ვერ შეიქმნებოდა თანამედროვე ცივილიზაცია!

სწორედ ამაშია არგონავტების მითის მთავარი საიდუმლო — თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაცია კოლხურ „ოქროს საწმისზე“ აღმოცენდა!..

გავიგეთ, რომ ბერძნებს მედეა მოუტაცებიათ, მაგრამ მისი მოტაცებით რეალურად რა გაიტაცეს, ეს კოლხთა სიბრძნის წიგნი, „ეფუთი“ ხომ არ იყო, რომელიც დაკარგულად მიიჩნევა?!

დიდი ნინა მარგალური გომორძგუა მარგალეფი!

ჭეშმარიტებასთან ძალზე ახლოს მდგომი ვარაუდი შეიძლება ეწოდოს იმ მდგომარეობას, რაც „ეფუთსა“ და „ანანუკთან“ დაკავშირებით არის შექმნილი — რომ ეს ერთი და იგივეა.

**მაკა ჯაყელი**

(გაგრძელება იქნება)



ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ საქართველოს სახალხო არტისტის, ლეგენდარული ქართველი სოპრანოს მედეა ამირანაშვილის გარდაცვალების გამო.

მედეა ამირანაშვილი იყო ქართული და ევროპული საოპერო მუსიკის უბადლო შემსრულებელი და ქართული მუსიკალური ხელოვნების თავდადებული ქომაგი. სწორედ ამით დაიმსახურა მან ოპერის მოყვარულთა თუ ხელოვნების მოღვაწეთა დიდი სიყვარული და პატივისცემა.

ვიზიარებ ოჯახისა და ახლობლების მწუხარებას და თანავუგრძნობ მის მსმენელს საყვარელი არტისტის გარდაცვალებას.

ირაკლი ღარიბაშვილი
საქართველოს პრემიერ-მინისტრი

# „ის კაცი იყო...“

## თენგიზ (ბუჭუტა) მდივანს 25 ნოემბერს 85 წელი შეუსრულდებოდა

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თენგიზ მდივანი, შინაურებში ბუჭუტად მიღებული, არა მარტო ოჯახს, მეგობრებსა და ქალაქს, არამედ ქვეყანას დააკლდა. ამ ღირსეულმა და ღვაწლმოსილმა ადამიანმა მთელი შეგნებული ცხოვრება თავისი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობას, სტუდენტი-ახალგაზრდობის პატრიოტიზმით აღზრდის საქმეს შეალია. მან ბევრ ეკონომიურად გაჭირვებულ ნიჭიერ ახალგაზრდას გაუწოდა დახმარების ხელი და ცხოვრების მძიმე გზის გაკვალვაშიც გვერდით ედგა.

თენგიზ მდივანი – პიროვნული თვისებებით გამორჩეული ეს უკეთილშობილესი და იმერული იუმორით შემკული კაცი, ქართული საზოგადოების მშვენება იყო. ის არა მარტო საზოგადო მოღვაწე, საუკეთესო მეუღლე, მამა, ბაბუა, და მეგობარი, ქვეყნის ჭირ-ვარამის გამზიარებელი გულმხურვალე პატრიოტი იყო. ყველა ეს თვისება მისი წინაპრებიდან მოდიოდა და თაობიდან თაობაზე გადადიოდა. ბატონი თენგიზი ამ ტრადიციებს ღირსეულად იცავდა და საკუთარ ოჯახში აგრძელებდა.



თენგიზ მდივანს ჰყავს შესანიშნავი მეუღლე, ქალბატონი მარინე (ტუია), შვილები და შვილიშვილები, რომლებიც ასევე ღირსეულად აგრძელებენ საამაყო მამისა და ბაბუის ქართული სულით გაჯერებულ ღირსეულ ტრადიციებს.

ძმაო თენგიზ, უკვე წელიწადზე მეტია, რაც სააქაო დატოვე და შენი უკვდავი სული ზეცას შეუერთდა. შენი გარდაცვალებით გულდამწუხრებული შენი მეგობრები ყოველთვის გიხსენებთ და შენს სახელს არასოდეს დავივიწყებთ. ასე იქნება, ვიდრე ცოცხლები ვართ და თუ მართლა იმქვეყნად რაიმე არსებობს, მანდ გადმოსახლების შემდეგ ისევ ერთად ვიქნებით და იმ უღალატო მეგობრობას, რომელიც აქ გვქონდა, მანდაც ძველებურად განვაგრძობთ.

იძინე მშვიდად და უშფოთველად. დაე, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის შენი მშობლიური ქართული მიწა.

როინ მეტრეველი, ელიზბარ ჯაველიძე, რამაზ ხუროძე,
ომარ გოცაძე, დემიკო ლოლაძე, პავლე ბელაშვილი, ზაზა აბაშიძე,
ლაური ჯანაშია, ანზორ აბრალავა, კაკო სიხარულიძე, ნოდარ
რურუა, თენგიზ და თემურ გამყრელიძეები, ომარ ქლენტი,
ბერიკა მინდელი, ბელა გველესიანი

„საერთო გაზეთის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს დავით თარხან-მოურავის ვაჟის

იორამ თარხან-მოურავის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# „სიკვდილო, კარგის მოკვლისთვის“...



„სიკვდილი არა არის რა, მე მხოლოდ გაღმა მხარეს გავედი, მე ისევ მე ვარ, შენ ისევ შენ ხარ, რაც ვიყავით ერთმანეთისთვის, ისევ ვართ საუკუნოდ. ისევ ისე მომმართე, როგორც ყოველთვის მოგიმართავს, ისევ ისე მესაუბრე, როგორც ყოველთვის გვისაუბრია... ნუ მიიღებ სამგლოვიარო და მწუხარე იერს... ილოცე, გაიღიმე, იფიქრე ჩემზე, ჩემთან ერთად ილოცე... შეიშრე ცრემლი და ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ“... ეს წმ. ავგუსტინეს სიტყვები თუღა ანუგეშებს ბატონი დავით თარხან-მოურავის ოჯახს... ოჯახს, სადაც გლოვის ზარმა ჩამოჰკრა და 35 წლის წარმოსადეგი, უაღრესად განათლებული, ზრდილობით აღსავსე ვაჟკაცის სიცოცხლე წამიერად აღგავა მიწისაგან პირისა...

„სიკვდილო, კარგის მოკვლისთვის, ნეტა ვინ გეტყვის ქებასა?.. არავინ, არავინ შენ, სასიკვდილო სიკვდილო!!! განა ამის ღირსი იყო დავით თარხან-მოურავის წმიდათა წმიდა კერა? არამც და არამც! ვაი, სიკვდილო! მართლაც და ბნელო! რად მოუჭერი ესოდენ სწრაფად გზა სავალი იორამს, განა მისი სიკეთე ასე ამძიმებდა დედამიწას? განა არ მოვიდოდა ბიოლოგიური გარდაცვალების დრო ხანდაზმულობისას?.. იორამი... უამრავი რამ დარჩა საკეთებელი, უამრავ ბედნიერებას მოუტანდა ოჯახს, ახლობლებს, ქვეყანას... მისი ნიჭი, უნარი, შესაძლებლობები ხომ უსაზღვრო იყო, მაგრამ არა! ასე მოინდომე, მოინდომე და გააკეთე! ეს იყო, ალბათ, ნება ღვთისა! იორამის სახით კიდევ ერთი გაყვითლებული ფოთოლი დაიმსხვრა და ჩაჰყვა დედამიწის გაციებულ გულს მიწურულს გიორგობისთვისას... კიდევ ერთხელ დაბასრა ტკივილმა საზოგადოება... ცრემლი ვერ ანელებს ტკივილს, ნუგეშიც კი არსაით არის... უჭირს თარხან-მოურავების ოჯახს, ბატონი დავითი ცხოვრების წესით, საქმით, რწმენითა და აღმსარებლობით ნამდვილად იმსახურებდა ოჯახურ შარბათს, მაგრამ... ეს ცხოვრება ხომ ხანგრძლივ არვის გაახარებს, „მტრისას მისი გამოცანა“’...

იორამმა, ნოდარ დუმბაძის არ იყოს, ცხადია, არ იცოდა, როდის მოვიდოდა მასთან სიკვდილი, ამიტომ სიკეთითა და სიყვარულით განლია დღენი, რადგან გაუთენებელი ხვალის ეშინოდა. და ეს ბნელიც დადგა! იორამი კი ზეცად ამაღლდა, დატოვა სიყვარული, სითბო, ბევრი მოგონება და ტკივილი... მარილიანი ჭრილობა...

ნათელი და სანთელ-საკმეველი უნათებდეს გზას იმიერში!

ანდრონიკაშვილების ოჯახი ღრმა მწუხარებას
გამოთქვამს იორამ თარხან-მოურავის
გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს ოჯახს.

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: ბვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს
„ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99